ნინო ჩარექიშვილი

# ხეთების წარმოდგენები სამყაროსა და ქვესკნელზე და პარალელები წინარე ქართულ რწმენა-წარმოდგენებთან

ანატოლიაში ძვ.წ. III-I ათასწლეულებში არაერთი დიდი თუ მცირე სახელმწიფო წარმოიშვა, მაგრამ სხვადასხვა პირობების გამო თანდათან გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან. ამ ტერიტორიაზე პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად უძველესი დროიდან დაწინაურდა ანატოლიის ცენტრალური ნაწილი, სადაც ჩამოყალიბდა სახელმწიფო, რომელიც უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად იქცა არამარტო მცირე აზიაში, არამედ მთელს ახლო აღმოსავლეთში. ეს იყო ხეთების სამეფო ანუ ხათი, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულში არსებობდა, ძვ.წ. XIII ს-ში კი „ზღვის ხალხების" შემოსევის შედეგად დაეცა. ხეთურ რწმენა-წარმოდგენებზე, რელიგიაზე, მითოლოგიაზე, რიტუალებზე გავლენა იქონია სხვადასხვა ხალხის (ხათური, ხურიტული, მესოპოტამიური) შეხედულებებმა და ბუნებრივია მათ შორის ბევრი საერთოც შეიძლება ვიპოვნოთ. ხეთურ რწმენა-წარმოდგენებს გარკვეული პარალელები მოეძებნება უძველეს ქართულ რწმენა-წარმოდგენებთანაც რომელსაც ქვემოთ არაერთხელ შევეხებით.

## ხეთური კოსმოგონია

ხეთების წარმოდგენით სამყარო ერთ დროს ცის და მიწის ერთიანობას ქმნიდა, რომელიც შემდეგ გაიყო. ამ მხრივ საყურადღებოა ხეთური მითი „სიმღერა ულიქუმზე", სადაც ნახსენებია ცისა და მიწის გაყოფა: **„...როცა ცა და მიწა საჭრეთელით განაშორეს ერთმანეთს...**";[1] ეამ უბრძანა ძველ ღმერთებს, დაემზადებინათ ის იარაღი, რომლითაც ოდესღაც ცა და მიწა განაშორეს ერთმანეთს, რათა ასევე განეცალკევებინათ ულიქუმი უფელურისგან.[2] „მუვათალის ლოცვის"[3] ორიგინალურ ვერსიაში სამყარო ორად არის გაყოფილი: ცად (და) მიწად/ქვესკნელად: B III 47-49: **„... მამრი ღვთაებები (და) [ქალღმერთები] [ცი]სა (და) ბნელი მიწისა, ცა (და) [მი]წა...**" იგივე ტექსტის გვიანდელ ვერსიაში მოცემულია სამყაროს განაწილება სამად – „ბნელი მიწა" (ქვესკნელი), მიწა

[1] CTH 345.I.3.1. Rs. III 40', 41. (§22).

[2] CTH 345.I.3.1. §24.

[3] CTH 381

(მიწის ზედაპირი) და ცა: A III 9-10: **„... მამრი ღვთაებები (და) ქალღმერთები [ცი]სა, ბნელი მიწა, ცა (და) მიწა...“**[4] საინტერესოა ამ მხრივ განწმენდის სარიტუალო ტექსტის[5] ერთი ფრაგმენტიც, კერძოდ, მაგიურ მოქმედებათა შესრულების შემდეგ მსხვერპლის შემწირველი წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს: **„ღვთაებები გაიყვნენ; ზე[მო ღვთაებებმა] თავისთვის ცა აიღეს, ქვემო [ღვთაებებმა] კი მიწა (და) ქვემო ქვეყანა აიღეს თავისთვის.“**[6]

როგორც ტექსტებიდან ჩანს, გაყოფის შემდეგ ცალ-ცალკე სამყაროებად ჩამოყალიბდა ცა და მიწა,[7] ზოგჯერ მიწა ქვესკნელის აღმნიშვნელადაც იხმარებოდა. საერთოდ ხეთები სამყაროს სამ ვერტიკალურ ნაწილად ჰყოფდნენ: ცა, მიწისქვეშეთი და მათ შორის მდებარე სივრცე. სამყარო წარმოდგენილი იყო ჰორიზონტალურად დისკოს სახით, ზედა ნახევარი ეჭირა ცას, ქვედა ნახევარი მიწას, შუაში იყო ატმოსფერო. ჰორიზონტალურ სივრცეში არსებობდა „სამყაროს ოთხი კუთხე“[8] (სამყაროს ოთხი მხარე). შუამდინარული წარმოდგენით კი არსებობდა ცის შვიდი შრე, შვიდი ცა. ქართულ ფოლკლორში ვხდებით გამოთქმას: „მეცხრე ცა“, „მეცხრე ცაზეა“, რაც ცის ცხრა შრეზე შეიძლება მიუთითებდეს. ხეთებთან ცა ასე დაშრევებული არ ჩანს, ის ერთიან მტკიცე, სავარაუდოდ რკინის მატერიას წარმოადგენდა. ტექსტებში ვხდებით გამოთქმებს: **„ცის რკინა“**, **„ცის შავი რკინა“**, **„რომელიც ღმერთებმა მოიტანეს სასახლის ასაშენებლად ციდან,“**[9] ძველ ხეთურ რიტუალშიც საუბარია „რკინის ცაზე.“[10] მიწა კი იყოფოდა სამ შრედ: მიწის ზედა ნაწილი “ზედა მიწა,“[11] რომელიც არის მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა სამყოფელი; შემდეგ

---

[4] Singer, 1996, p. 62.

[5] Bo 3617 I 8 _ 11.

[6] ტატიშვილი, 2002, გვ. 141.

[7] ხეთურად ცა – *nepiš, / nepišant-*, ხოლო “მიწა, ადგილი, ქვესკნელი” *tekan/takn- / daganzipa-*, “ცა და მიწა” *nepiš daganzipaš* (AN-*iš* KI-*paš*); ხათურად $^{D}$*iyaḫsul* „ცა“, $^{D}$*ištarzil* და *wur-* „მიწა“; შუმერულად AN „ცა“, KI „მიწა“, AN-KI „ცა და მიწა“; აქადურად *sama'u - erṣetu(m);* ლუვიურად *tappaš- / tappašant(i)* „ცა“, ხოლო *tiyammi-* „მიწა”; ხურიტულად *ḫawurni* „ცა“, ხოლო *eše* „მიწა“, *eṣḫawurni* _ „ცა და მიწა“.

[8] KUB 28.92 Vs. I 2'; KUB 31.130 Vs. 6; KUB 36.89 Vs. 27; KUB 36.90 Rs. 40 da ABoT 44 Vs. I 23, HED 3 1991, 21.

[9] KBo 4.1 Vs. 39. „ცა რკინისაგან“ ასე იწოდება ტექსტები KUB 33.34 Vs.? 9' და IBoT 1.26 8. რკინის ცა და მიწა, ასე იწოდება რიტუალი KUB 17.20 Vs. II 24.

[10] CTH 416, (H. Otten, V. Soucek 1969).

[11] აქად. *erṣetum elītum*

„შუა მიწა,“[12] სადაც იყო მიწისქვეშა წყლები. უფრო სიღრმეში კი იყო „ქვედა მიწა.“ – ქვესკნელი.[13]

ხეთების მიერ წარმოდგენილ თითოეულ სამყაროს ჰყავდა თავისი ღვთაებები, რომლებიც ხეთურ ტექსტებში დადასტურებულია ღვთაებათა შემდეგი კატეგორიების სახით: „ცის“, „მიწის“ და „ქვემო/ძველი“ ღვთაებები.[14] შესაძლოა შუამდინარული წარმოდგენები ედოს საფუძვლად ხეთური პანთეონის დაყოფას „ცის“ და „მიწის/ქვესკნელის“ ღვთაებებად.[15] გ. შტაინერის აზრით, ღვთაებათა ძირითად საცხოვრისად ხეთებს მიაჩნდათ ცა, ხოლო მიწისქვეშეთი მხოლოდ უწმინდური ძალების და საკუთრივ მიწისქვეშა ღვთაებების ადგილსამყოფელად ითვლებოდა.[16] ამ წარმოდგენებიდან გამომდინარე ხეთურ პანთეონში შესაბამისად არსებობდნენ: „ცის ღმერთები (და) მიწის ღმერთები“ (*nepišaš* DINGIR$^{MEŠ}$ *taknaš* DINGIR$^{MEŠ}$),[17] ანუ „ზემო ღვთაებები (და) ქვემო ღვთაებები“ (DINGIR$^{MEŠ}$ UGU DINGIR$^{MEŠ}$ *ŠAPLĪTI*).[18] მათ ცალ-ცალკეც ვხვდებით ტექსტებში, მაგალითად: „ცის“ (*nepišaš* DINGIR$^{MEŠ}$ = DINGIR$^{MEŠ}$ *ŠAMÊ*/AN$^{E}$),[19] ანუ „ზემო“ ღვთა-ებები (UGU-*zeš* = *šarazzeš* DINGIR$^{MEŠ}$)[20] და „მიწის“ (*taknaš* DINGIR$^{MEŠ}$ = DINGIR$^{MEŠ}$ KI/*ERŠETIM*),[21] ანუ „ქვემო“[22] ღვთაებები (*katttereš* DINGIR$^{MEŠ}$ = DINGIR$^{MEŠ}$ *ŠAPLĪTI*).[23]

ხეთების წარმოდგენით სამყაროს ერთიანობას მზის ღვთაება გამოხატავს, რომელიც აღინიშნება შუმეროგრამით $^{D}$UTU. განასხვავებენ შემდეგი მზის ღვთაებებს: ქ. არინასას ($^{D}$UTU $^{URU}$*Arinna*), ცისას (*nepišaš* $^{D}$UTU), მიწისას (*taknaš* $^{D}$UTU). საყურადღებოა, რომ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში „მზე ცისა“ და „მზე მიწისა“ ქმნიან ერთიან სახეს – კოსმიურ მზეს, რომლის სამყოფელიც მოიცავს სამყაროს. იგი არის „ღმერთების მზე“ (DINGIR$^{MEŠ}$-*nan* $^{D}$UTU), რომელიც

---

[12] აქად. *erṣetum qablītum*, ენქის და ეას სამყოფელი.

[13] აქად. *erṣetum šaplītum*, Haas, 1994, s. 127.

[14] Masson, 1991, p. 189; ტატიშვილი, 2002, გვ. 142.

[15] Steiner, RLA 3/7,1969, p. 552; Laroche, 1947, p. 18; von Schuler, 1965, p. 161.

[16] Steiner, 1969, 571 f.

[17] KUB 17.8 I 1 და სხვ.; KBo 5.3 I 58 (DINGIR$^{MEŠ}$ *ŠAMÊ* DINGIR$^{MEŠ}$ *ERŠETIM*).

[18] KUB 21.27 III 19

[19] KBo 8.35 II 10 , 12.39 I 11, KUB 6.45 III 59 და სხვ.

[20] KUB 17.14 I 17 და სხვ.

[21] KBo 5.3 + I 58, 10.37 III 18, KUB 4.5 Vs.33 და სხვ.

[22] KUB 21.27 III 19, 24.12 II 29 და სხვ.

23 Tenner, 1929, s.187; ტატიშვილი, 2002, გვ. 142-143.

განასახიერებს კავშირის ცასა და მიწისქვეშეთს შორის, ანუ იგი არის უზენაესი გამგებელი ცაში და ქვესკნელში არსებული ყველა ღვთაებისა.[24]

საინტერესოა, რომ ქართულ სინამდვილეში ქრისტიანობამდელი კოსმოგონიური წარმოდგენებით სამყარო (ანუ ხილული, მყარი მატერია) წარმოდგენილი იყო გეომეტრიულად, კოსმოსში განფენილი სფეროს სახით, რომელიც შემოსაზღვრული იყო ზღვით ან მთებით, ქვეყნის დასასრულს იდგა სიცოცხლის ხე (ბოძი, კოშკი, რქები, ციდან დაშვებული ჯაჭვი და სხვ.), რომელიც აერთებდა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სამყაროებს. სფერო შედგებოდა სამი ჰორიზონტალური და ორი ვერტიკალური ფენისაგან, რომლებიც შემდეგნაირად იყო განლაგებული: სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა შუასკნელი (მიწის ზედაპირის ადამიანთა, ცხოველთა, მცენარეთა სამყარო, შეესატყვისება წითელი ფერი), მის ზევით განფენილი იყო ზესკნელი (ზეციური, ღმერთისა და ღვთისშვილების სამყარო, გამოხატული თეთრი ფერით), ქვევით – ქვესკნელი (მიწისქვეშეთი, გარდაცვლილების, ხთონური სამყარო, შავი ფერის), წინ – წინასკნელი (ნათელი, ბარაქიანი სამყაროა, შეესატყვისება „აქ“ გაგებას, ამასთან იგი ადამიანთა წინ განფენილი მომავლის სამყაროა) და უკან – უკანასკნელი (წარსულის სამყაროა, ბნელი, საიდუმლო, მოულოდნელობებითა და ფათერაკებით სავსე, შეესატყვისება „იქ“. ამის გამო ბევრი წეს-ჩვეულების შესრულებისას იკრძალება უკან მიხედვა). ქართულმა ფოლკლორმა შემოინახა ეს წარმოდგენები, მაგ ეს კარგად ჩანს ქართული ხალხური ზღაპრების დასასრულ სიტყვებში: **„ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“**, ანუ ყოველგვარი ცუდი იქ იმ სამყაროში, ხოლო ყოველგვარი სიკეთე აქ, ამ სამყაროში; ან კიდევ სიტყვებში: „სა-აქაო“ და „სა-იქიო.“ ვერტიკალური სამყაროები ერთმანეთისგან გამოყოფილია ჰაერით და მიწით, ჰორიზონტალური კი შვიდი (ცხრა) მთით ან ზღვით. ეს სისტემა შემოსაზღვრული იყო გარესკნელით. ერთი სკნელიდან მეორეში გადასვლა ღვთაებებს ან გმირებს ან ნახევარღმერთებს შეეძლოთ, ადამიანი ამას მხოლოდ ღვთის ნებით დროებით ან სამუდამოდ სახეცვალების (გარდაცვალების) შედეგად ახერხებდა.[25] ქართული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის საფუძველზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკნელები

---

[24] ტატიშვილი, 2002, გვ. 145-146.

[25] ხუციშვილი, 2010, გვ. 392-403

გამოხატული იყო კონკრეტული ფერთა სიმბოლიკით: თეთრი, შავი და წითელი. ზუსტად ანალოგიური ფერთა სიმბოლიკით (შავი, წითელი, თეთრი) არის გამოხატული შუამდინარულ მითოლოგიაშიც სამივე სკნელი. სკნელების ფერთა ამგვარ სიმბოლურ გამოხატულებას ხეთებთან არ ვხვდებით, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვესკნელი მათთანაც შავი ფერით იყო გამოხატული (შავი/ბნელი მიწა = ქვესკნელი).

მართალია ცა და მიწა გაიყო, მაგრამ უძველესი წარმოდგენებით არსებობდა ისეთი ადგილები, სადაც ხდებოდა ცისა და მიწის კოსმიური კავშირი. ასეთებად მიიჩნეოდა მაღალი ადგილები, მთები, რელიგიური ცენტრები. ცისა და მიწის გაერთიანების სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა კიბე, ხე, ბოძი და მისთ. ხეთებთან ცისა და მიწის შემაერთებელი, კოსმიური მაკავშირებელი უნდა ყოფილიყო კიბე. ცხრა საფეხურიანი კიბე ნახსენებია ხეთურ შელოცვის რიტუალში.[26] ნერგალისა და ერეშქიგალის მითოსში საუბარია კიბეზე, რომელიც ცას და მიწას ერთმანეთთან აკავშირებს. შუამდინარული მითოლოგიაში ვხდებით ტერმინს დურანქი (DUR.AN.KI) – „ჭიპლარი ცისა და მიწისა“. ეს იყო ადგილი, სადაც უნდა მომხდარიყო ცისა და მიწის დაშორიშორება, რომელიც ღვთაება ენლილს მიეწერება, დურანქიში – კოსმიურ შუაგულში გადის სამყაროს „დიდი ღერძი“ (დიმ გალ).[27] აქადურში გვხვდება ცის და მიწის შემაერთებელი მცენარე (*Ú šá-mi qaq-qa-ri*). ქართულ მითოლოგიაში კი გვხვდება „შიბი“, ესაა ცისა და მიწის (ცა და ქვეყნის) შემაერთებელი, დამაკავშირებელი ოქროს ჯაჭვი. ასევე, საინტერესოა, რომ ბაბილონური მითოლოგიის მსგავსად ხეთურშიც გვხვდება სიცოცხლის ხე, რომლის ფესვებიც ქვესკნელის იმიტაციაა, ფოთლები კი ცის.[28] ანლოგიურადაა ქართულ წარმოდენებშიც, არსებობდა წმინდა ხე, სიცოცხლის ხე[29] (მაგ. მუხა), რომლის ფესვები ქვესკნელს, ტანი შუასკნელს, კენწერო ზესკნელს განასახიერებდა თავისი ბინადარი არსებებით. შუმერულშიც ასეა, სიცოცხლის ხე – Huluppu(m)- ია, რომლის ძირშიც გველი ისადგურებს, ხოლო კენწეროში ჩიტი. ქართულ წარმოდგენებში წმინდა ხის, სიცოცხლის ხის იმიტაციაა ქართული დარბაზის დედაბოძიც, რომელიც

---

[26] CTH 457: KUB 17.8. Rs. IV 19;

[27] $^{GIŠ}$DÌM „ბოძი, სვეტი“; აქად. $^{GIŠ}$*MAKUDI*; ხეთ. $^{GIŠ}$*šarhul(i)-*

[28] KBo 17.22( = StBoT 25 1980, Nr. 24).

[29] მის სიმბოლოს წარმოადგენს ქართული ჩიჩილაკი.

სახლში ცენტრალურ ადგილზე იყო განთავსებული და განასახიერებდა კოსმიურ კავშირს.

სამყაროს ანტროპომორფული გამოსახულება გხვდება ხეთურ რიტუალებში: ერთგან ნახსენებია, ქალღმერთის თმა, მიწისქვეშა ღვთაების თმა: **„თმა ტახტიდან ქვევით ქუმარბისკენ მიემართება, თმა მიწის მზის ქალღმერთისკენ, ზღვისკენ მიედინება.“**[30] მეორეში დედამიწაა ადამიანის სხეულის ნაწილებით გამოხატული: მთა = ცხვირი, ხეობები = ყურები, ტალღები/მდინარის ტალღები = თმა, გველი = საყლაპავი.[31]

ძველ აღმოსავლეთში ძალიან ხშირად ვხვდებით რიცხვთა სიმბოლიკას, ბუნებრივია არც ხეთური სამყაროა გამონაკლისი და ამ მხრივ საინტერესოა რა თქმა უნდა ქართული რწმენა-წარმოდგენებიც. საინტერესოა რიცხვების განაწილების ერთგვარი კანონზომიერება ქართულ შელოცვებში: ადამიანის ჯანმრთელობისადმი განკუთვნილ შელოცვებში ჭარბობს საკრალური რიცხვი სამი, სამეურნეო სახის შელოცვებში – ცხრა, ხოლო ბატონების შელოცვებში – შვიდი.[32] უძველესი დროიდან სხვადასხვა ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში რიცხვებს მაგიური დატვირთვა ჰქონდა, ზოგიერთ რიცხვს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა და ძალა. მაგ.: 3, 4, 7, 9, 12. რიცხვებში, პირველ რიგში, სამყაროს გაგებისა და აღწერისათვის აუცილებელი კოდი იყო ჩადებული და ამდენად მათ საკრალური მნიშვნელობა ჰქონდათ მინიჭებული. მნიშვნელოვან სიდიდეებად იყო მიჩნეული სამი[33] და ოთხი.[34] სამის გააზრებაზე იყო დაფუძნებული სამყაროს ვერტიკალური აგებულების დინამური მოდელის შექმნა, რომელშიც ზესკნელის, შუასკნელისა და ქვესკნელის არსებობა იყო ნავარაუდევი. ოთხზეა დაფუძნებული სამყაროს ჰორიზონტალური, სტატიკური

---

[30] CTH 446: C II. 2’-4’

[31] CTH 390. Haas, 1994, s.148.

[32] ხაჭაპურიძე, 2004, გვ. 345.

[33] სამი სისავსის, სრულყოფილების, სინთეზის სიმბოლოა. სამთანაა დაკავშირებული: დაბადება-სიცოცხლე-სიკვდილი; ადამიანი (სხეული-სული-გული); დროის სამი განზომილება (წარსული-აწმყო-მომავალი); სივრცის სამი განზომილება (სიგრძე-სიგანე-სიმაღლე); ნივთიერების სამი მდგომარეობა (მყარი-თხევადი-აირადი) და ა.შ. სამის სიმბოლურ გამოხატულებას სხვადასხვა რელიგიებში ხშირად ვხდებით, ასევე სხვადასხვა ხალხთა მითებსა და ფოლკლორში.

[34] ოთხი მთლიანობის, სტაბილურობის, უძრაობის, ჯვრის სიმბოლოა. ოთხთანაა დაკავშირებული: სამყაროს ოთხი ელემენტი, სამყაროს ოთხი მხარე, ოთხი სტიქია, წელიწადის ოთხი დრო, ოთხი მიმართულების ქარი და ა.შ.

მოდელი, რომელშიც იგი წარმოგვიდგება, როგორც მოწესრიგებული, იდეალური სტრუქტურის მქონე განუყოფელი მთლიანობა. სამი და ოთხი ჯამში ახალ საკრალურ სიდიდეს, შვიდს ქმნის. მას მაგიურ რიცხვს უწოდებენ. იგი ყოველთვის გამოხატავს ერთიანი სამყაროს იდეას და სამყაროული ხის კონსტანტას წარმოადგენს. ამ რიცხვს დაუკავშირდა შემდეგ დროინდელი რელიგიური პანთეონისა და დღესასწაულების გააზრება და დაწესება.[35] წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენებით არსებობდა ასტრალურ ღვთაებათა შვიდეული (შვიდი მნათობი): მზე, მთვარე და ხუთი ვარსკვლავი (ხუთი პლანეტა: იუპიტერი, ვენერა, მარსი, მერკური, სატურნი). ძველ ქართულ ასტრალურ პანთეონში უზენაეს ღვთაებათა შვიდეულის სახელები ეწოდებოდა კვირის დღეებსაც. ასევე ბაბილონელების ღვთაებათა პანთეონში შედიოდა უზენაეს ღვთაებათა შვიდეული: შამაში (მზე), სინი (მთვარე), მარდუქი (იუპიტერი), იშთარი (ვენერა), ნერგალი (მარსი), ნაბუ (მერკური) და ნინურტა (სატურნი).[36] ძველი ეგვიპტელები, შუმერები, ბაბილონელები, ქალდეველნი ციფრს (7) უკავშირებდნენ ბუნების, კოსმოსის, ყოველდღიური ცხოვრების და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს. ისინი მას საკრალურ ციფრად თვლიდნენ.[37] შვიდს ხეთებთანაც საკრალური მნიშვნელობა აქვს, მაგ.: „სახლის განწმენდის და ქვესკნელის ღვთაებების მოხმობის რიტუალშიც:“ შვიდჯერ წყაროდან წყლის ამოხაპვა, წყაროდან შვიდი კენჭის ამოღება (ეს ქმედება მეორდება).[38] თელიფინუს მითში რიტუალური ქმედება: **„კარისკაცმა შვიდი კარი გააღო, შვიდი კარის საკეტი გააღო“**[39] და სხვ. შუამდინარულ მითოლოგიაში ხშირად გვხდება რიცხვი შვიდი, როგორც მაგიური და ღვთაებასთან დაკავშირებული საკრალურის სიმბოლო. გილგამეშის ეპოსში იშთარის სუფრაზე ენქიდუ შვიდ სასმელს მიირთმევს, ამით იღებს იმპულსს, რომელიც გარდაქმნის მას. შუმერულ-აქადურ ტექსტებში გვხდება შვიდი აფქალი: **„შვიდი აფქალი, მდინარეში რომ იშვნენ, ცისა და მიწის გეგმათა წარმართველნი უზენაესი სიბრძნით არიან გასრულებულნი...“**[40]

---

[35] ხიდაშელი, 2001.

[36] გელიაშვილი, 2014, გვ. 49.

[37] ჩხეიძე, 2001, გვ. 435.

[38] CTH 446: C II. 57, 60, 61.

[39] CTH 325: KUB XII 10, KUB XXXIII 2; ძვ. აღმ. ქრესტ., 1990, გვ. 231.

[40] ხაჭაპურიძე, 2004, გვ. 346; კიკნაძე, 1976, გვ. 182-184.

ასევე უდიდესი დატვირთვა ჰქონდა ცხრას, ვინაიდან ცხრა სამჯერადი გასამების გზით თავის თავში მოიცავს დასრულებულ ციკლს, ანუ ცხრა სამყაროს მუდმივაა, რადგან ნებისმიერ რიცხვში შემავალი ციფრების ჯამი ბოლოს ცხრას გვაძლევს. საინტერესოა, რომ ხეთურ, ისევე როგორც ქართულ მითოლოგიაში გვხვდება ცხრა ზეცა, ცხრა მთა, ცხრა ზღვა.[41] ხეთურ ეპოსში „ღმერთთა თაობების შესახებ“ გადმოცემულია ცაში მეფობის დროს როგორ და რა თანმიმდევრობით ცვლიან ღმერთები ერთმანეთს, ეს ცვლილება ხდებოდა ყოველ ცხრა წელიწადში.[42] ქართულ მითოლოგიაში, რწმენა-წარმოდგენებში, შელოცვებში ცხრას მაგიური დატვირთვა აქვს. ცხრა მზის, როგორც მუდმივი წრებრუნვის, განახლების, მარადიულობის, სიმბოლური რიცხვია, ხოლო სიმბოლო კი თვალი (ყოვლისმხედველი), აქედან გამონათქვმი „ცხრათვალა მზე“, ანუ ყოვლისმხედველი.

საკრალურია თორმეტიც (სამის და ოთხის ნამრავლი), ასახავს კოსმიურ წესრიგს,[43] დასრულებული ციკლის სიმბოლოა. თორმეტს ხეთებისთვისაც, როგორც ჩანს, მაგიური დატვირთვა ჰქონდა, მაგალითად თელიფინუს მითში ქამრუსეფა ღმერთებს მიმართავს: „გამოარჩიეთ ამ ფარიდან თორმეტი ყოჩი და მე თელიფინუს შევულოცავ.“[44] ძველ ინდოევროპულ (ხეთურ-ანატოლიურ) მსხვერპლშეწირვის რიტუალში ღვიძლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. გამყრელიძე და ივანოვი თავიანთ მონოგრაფიაში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ განმარტავენ, რომ 12 რიცხვის საკრალური მნიშვნელობა უკავშირდება სხეულის 12 ძირითად ნაწილს (მათ შორის ღვიძლს), რომელთაც მოჰკვეთენ სამსხვერპლო ცხოველს ადამიანის განკურნების რიტუალის ჩატარებისას.[45]

## ქვესკნელი ხეთებთან

ხეთები ქვესკნელს აღნიშნავდნენ სიტყვებით: *dankui tekan* (შუმ. $GE_6$ KI-*an*), *dankuis daganzipas* (შუმ. $GE_6$-*iš* KI-*aš*)[46] – „ქვედა/ბნელი/

[41] KUB 36.89

[42] KUB XXXIII 120+119; ძვ. აღმ. ქრესტ., 1990, გვ. 233-234.

[43] თორმეტთანაა დაკავშირებული მაგ.: ზოდიაქოს ნიშნების, წელიწადის თვეების, დღის და ღამის საათების და სხვ. რაოდენობა. ეგვიპტელებთან არსებობდა ქვესკნელის 12 კარიბჭე.

[44] ძვ. აღმ. ქრესტ., 1990, გვ. 230.

[45] Гамкрелидзе & Иванов, 1984; სუხიშვილი, 2010, გვ. 254.

[46] შუმ. KI; აქად. *ERṢETU(M)*; ბაბ. *ŠAPLĪTU(M)*, *KUR ŠAPLĪTI;*

შავი მიწა, ანუ ქვესკნელი."[47] საინტერესოა ის, რომ „ბნელი მიწა" ქვესკნელის გარდა აღნიშნავს ადამიანებით დასახლებულ ადგილსაც, ასევე შეიძლება ითქვას ტერმინზე *tekan* – „მიწა", რომელიც შესაძლოა გამოხატავდეს ორივეს შუასკნელსაც და ქვესკნელსაც. ხათური განსაზღვრება ქვეყნის/მიწის და ქვესკნელის არის – *wur*, საიდანაც მომდინარეობს ქვესკნელის ქალღმერთის სახელი: ᴰ*Wurunšemu* – „ქვეყნის/მიწის დედა" (არინას მზის ქალღმერთი), ან ᴰ*Wurunkatte* „მეუფე ქვეყნისა."

მესოპოტამიური წარმოდგენის მიხედვით მიწა არის ქვსკნელის ზღვებზე მოცურავე ნაწილი (მთა) ე.ი. ქვესკნელი ადამიანებით დასახლებული მიწის ქვეშ მოიაზრება. მათთან სააქაო და საიქიო მკვეთრად არის გამიჯნული ერთმანეთისაგან. ამ ქვეყნიურ და იმქვეყნიურ სამყაროებს შორის საზღვარს წარმოადგენდა მიწისქვეშა მდინარე „ილურუგუ" (შუმ. *Ilurugu* – მდინარე, რომელიც ხალხისკენ მიედინება), ან „ხუბური" (აქად. Ḫubur), რომელიც მიცვალებულის სულს უნდა გადაელახა რომ მომ-ხვდარიყო საიქიოში. ხეთებთან თითქოს ასეთი საზღვარი მიწასა და ქვესკნელს შორის არ არსებობს და არც ასე მკვეთრად არ არიან ისინი ერთმანეთისაგან გამიჯნულნი, ალბათ ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ქვესკნელის აღსანიშნავად ცალკე სიტყვას არ ხმარობენ, ერთი სიტყვით გამოხატავენ მიწასაც და ქვესკნელსაც, განსხვავებით შუამდინარელებისაგან, რომლებიც განასხვავებენ ქვესკნელს, ანუ მოუსავლეთს (kurnugia/irkalla) და მიწას (ki). თუმცა ამავე დროს ალბათ საყურადღებოა ტერმინი „ქვესკნელის ურდული" (negri eše = ni = we),[48] რომელიც ხეთურ-ხურიტულ ბილინგვაში გვხვდება და შესაძლოა სწორედ ეს იყო ის კარი, რომელიც ორი სამყაროს შორის საზღვარს წარმოადგენდა. ვინაიდან ხურიტული სიტყვა negri, ხეთური სიტყვის ḫattalu (ურდული) იდენტურია და ამავე დროს გამოხატავს „ნაპირს", „საზღვარს".

მიწისქვეშა სამყარო ხეთების მიერ არ აღიქმება საშინელ მხარედ. ეს თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ ხათური წარმოშობის ხეთური მიწის ზედა ღვთაებები თავისუფლად მოგზაურობენ ქვესკნელში, ზოგჯერ ნებაყოფლობითაც კი ჩადიან. საერთოდ ხეთები ქვესკნელს კონკრეტულ გეოგრაფიულ ჩარჩოებში არ ათავსებენ. ღვთაებები გაბრაზების თუ შიშის შემთხვევაში თავშესაფარს ქვესკნელში პოულობენ, მაგრამ ქვესკნელში

---

[47] შესაძლოა ქვესკნელს აღნიშნავდეს სიტყვა *arali*-ც.

[48] KBo 32.13 Vs. I 10-11. ხეთური ტექსტი (Vs. II 14).

ჩასვლით ღვთაება არ კვდება, იგი დროებით იმალება, უჩინარდება, და მისი გულის მოგების შემდეგ, რაც რიტუალებითა და შელოცვებით ხდება, იგი კვლავ ბრუნდება უკან. მაგალითად, გამქრალი ღვთაების შესახებ მითის ყველაზე გავრცელებული, პოპულარული ვერსიის გმირი ამინდისა[49] და მისი წრის ღვთაებაა. შუამდინარული იდეოგრამით აღნიშნული ამინდის ანატოლიური ღვთაება, რომელიც განაგებს წვიმასაც და ხთონურ წყლებსაც, თავისუფლად გადადიოდა ციდან მიწისქვეშეთში და პირიქით. ხეთების მსგავსად იყო ქართულ რწმენა-წარმოდგენებშიდაც, სკნელებს შორის გადაადგილება პრობლემას არ წარმოადგენდა. განსხვავებით შუამდინარული წარმოდგენებისაგან, სადაც მიწისქვეშა სამყარო – ერეშქიგალის საბრძანებელი მკაცრადაა გამიჯნული მიწის ზედა სამყაროსაგან. მაგალითად, თუ ცის ღვთაება გადალახავს მისი სამეფოს საზღვრებს, ჩავა ქვესკნელში და ქვესკნელის ღვთაებისთვის განკუთვნილ საკვებს მიიღებს, ის კარგავს თავის ფუნქციას. ამ მხრივ საინტერესოა იშთარის ქვესკნელში ჩასვლის ამბავი ან მითი ნერგალსა და ერეშქიგალზე, სადაც მოთხრობილია იმის შესახებ თუ როგორ გახდა ცის ღვთაება – ნერგალი, შემდეგ ქვესკნელის მეუფე. შუამდინარულ მითებში ღვთაებები ყველანაირად გაურბოდნენ ქვესკნელს.[50]

ხეთებთან ღვთაების ქვესკნელში ჩასვლა არ ნიშნავდა მის დაღუპვას ან მის თვისობრივ ცვლილებას, თუმცა ღვთაების გადასვლამ სამყაროს ერთი ნაწილიდან მეორეში შეიძლება საფრთხე შეუქმნას კოსმიურ წესრიგს.[51] ხათურ ღვთაებათა ქვესკნელში დამალვა ძირითადად გამოწვეულია მათი გაბრაზებით და შედეგიც მძიმეა. მაგ.: **„ნერიქის ამინდის ღვთაება განრისხდა და ჩავიდა ორმოში. // მან ... ადამიანთა მოდგმისგან, // ცოდვილისგან, სისხლიანისგან თავი [დაიხსნა ...// მან ლაბარნას – მეფეს, თავანანას – დედოფალს გამრავლება, სიცოცხლე და დღეგრძელობა (წაართვა?) // ...**“[52] ასევე საინტერესოა „მითი თელიფინუს შესახებ“,[53] სადანაც კარგად ვხედავთ, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვა ნაყოფიერების ღვთაების განრისხებას და წასვლას:

**„თელიფინუ განრისხდა გონდაკარგული (მარჯვენა) წუღას მარცხენა ფეხზე იცვამდა და მარცხენას მარჯვენაზე... იგი წავიდა... სარკმელები**

---

[49] ამინდის ღვთაება ხეთურ ტექსტებში აღინიშნება იდეოგრამებით: $^{D}$U, $^{D}$IM / $^{D}$IŠKUR.

[50] ტატიშვილი, 2002, გვ. 145

[51] CTH 323-36; CTH 671, 727.

[52] KUB 36.89 12 -17

[53] CTH 325; KUB XII 10, KUB XXXIII 2.

**გაიმჭვარტლა, კვამლმა მოიცვა სახლი. კერაში ნაღვერდალი ჩაქრა, ღმერთებს ტაძრებში სული შეეხუთათ, ბაკში ცხვრები გაიგუდნენ, გომურში საქონელი გამოიხრჩო, ცხვარმა უარყო თავისი ბატკანი, ძროხამ ხბოზე თქვა უარი. თელიფინუ წავიდა. მარცვლეული, ზრდა, სიმძლავრე ყანისა, მდელოსი თუ ტევრისა თან გაიყოლა. წავიდა თელიფინუ და ტევრს შეეფარა. დაღლილობა მოერია თელიფინუს და მოხდა ასე: ქერი და ხორბალი აღარ ხარობდა, საქონელი, ცხვარი თუ ადამიანები ველარ მრავლდებოდნენ. მიდგომილნიც კი ვეღარ შობდნენ. მთები დახმა. ხეებს კვირტები აღარ გამოჰქონდა. საძოვრები გადაიხრუკა, წყაროები დაშრა და დედამიწაზე შიმშილი დამკვიდრდა. ადამიანები და ღმერთები შიმშილით იღუპებიან. მზის ღვთაებამ დიდმა უთუმ, ნადიმი გამართა და ერთი ათასი ღმერთი ისტუმრა. ჭამეს და ვერ დაძღნენ, სვეს და წყურვილი ვერ მოიკლეს...**"[54]

კოსმიური წესრიგის აღსადგენად აუცილებელია ღვთაებათა გულის მოლბობა, რათა მოხდეს მათი ქვესკნელიდან დაბრუნება. ამისათვის კი საკმარისია შელოცვის წარმოთქმა და მაგიური რიტუალის ჩატარება.[55] მაგ.: „**შულინქათეს ვაჟიშვილო, (სამყაროს) ოთხი კუთხი-დან, // ღრმა მორევიდან ზემოთ (ამოდი), [ნერი]ქში // დაბრუნდი და [ლაბარნას] – მეფეს, თავანანას – დედოფალს, [კეთილი თვალით] შეხედე! ... // დაე, შე-მოვიდეს ნერიქის ამინდის ღვთაება, ქალღმერთმა ვურუნშემუმ კი (მისი) ცუდი გუნება // შეიპყროს და (მისი) რისხვა იქ დატოვოს!**"[56]

საინტერესოა, რომ ქართული რწმენა-წარმოდგენებით (კერძოდ დასავლურ-ქართული) მითორიტუალურ კომპლექსში ღვთაება გალენიში ორთა ნადირთა და მიცვალებულთა სამყაროს განაგებს. მას შეეძლო ადამიანებისთვის და საქონლისთვის მავნე სულების მისევა და/ან მათგან დაცვა. გალენიში ორთა, თავისი ბუნებითა და არსით უპირისპირდება სოციუმს, მოწესრიგებულ, ადამიანთა სამყაროს და ზეციურ სამყაროს.[57] მთაში დამოწმებული მასალის მიხედვით ავადმყოფობებს სხვადასხვა ავი სული იწვევდა. ავი სულები სხვადასხვა გარემოებების გამო იწვევდნენ დაავადებებს – პიროვნებასთან შემხვევით შეხვედრის დროს, მათ წინაშე ჩადენილი დანაშაულის მიზეზით და ღვთაების მოხმობით.[58] ავი სული შეიძლებოდა ადამიანში გადასულიყო ძირითადად მიწიდან და ზოგჯერ წყლიდანაც. მსგავს

---

[54] CTH 325: KUB XII 10, KUB XXXIII 2; ძვ.აღ. ქრესტ., 1990, გვ. 228-229.

[55] ტატიშვილი, 2002, გვ. 144

[56] KUB 36. 89 27-32

[57] აბაკელია, 2007, გვ. 26.

[58] მინდაძე, 1981, გვ. 73.

ავადმყოფობებს უწოდებდნენ „მონათხომს“, „ამოყოლილს“[59] ან „უჟმურს“. უჟმური ხშირად ბავშვებს ემართებოდათ. იგი ჭირვეულობას, უგუნებობას, და ზოგ შემთხვევაში საყმაწვილო სენსაც გულისხმობდა. მთიელთა განმარტებით უჟმრი ავსული იყო, იგი ნესტიან ადგილებში ბინადრობდა და თუ იქ საღამოობით ბავშვი გაივლიდა აუცილებლად აყვებოდა. ქვემო სვანეთში ოჯახებში უჟმურის თიხის ქანდაკება ინახებოდა, რომელსაც სხვადასხვაგვარ შესაწირს სწირავდნენ.[60] „უჟმურს“ კურნავდნენ შემდეგნაირად: **„იმ ადგილიდან, სადაც დაავადებული იჯდა ან იწვა ცუდად გახდომის წინ, იღებდნენ ცოტა მიწას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილი არ იცოდნენ, მიწას ამოთხრიდნენ იმ გზიდან, რომელზედაც ოდესღაც მეფეს გაუვლია. თუ ესეც შეუძლებელი იყო, მაშინ მიწას სამრეკლოს ძირში ცხრა სხვადასხვა ადგილას მოთხრიდნენ. ამ მიწას ჩაყრიდნენ სრულიად ახალ ქოთანში, შემდეგ ამოიღებდნენ წყალს ცხრა სხვადასხვა ჭიდან (ამ დროს წყლის ამომღებს საუბრის ნება არ ჰქონდა) და ქოთანში ჩაასხამდნენ, იქვე ჩაყრიდნენ ხორბლის, ღომის, ლობიოს მარცვლებს და ქოთანს შედგამდნენ ცეცხლზე, რომელიც უნდა დაენთოთ ცხრა სხვადასხვა ღობის შეშისაგან. ნახარშს ღვრიდნენ ხის გობში, რომლის შუაგულში აცობდნენ ნემსს. ამ უკანასკნელზე დაკიდებდნენ თითისტარს და ყველაფერს ამას ქოთანს დაახურავდნენ თავზე. ამის შემდეგ სამი სხვადასხვა გვარის ქალი, რომელთაც სამ-სამი ძირი ჭინჭარი ეჭირათ ხელში, იწყებდნენ ქოთნის ირგვლივ სიარულს და წარმოთქვამდნენ შემდეგ შელოცვას: „უჟმურო, გამოდი ამ ავადმყოფიდან (სახელი) და გადადი სხვასთან, საითაც მოხველ, იქ წადი...**“ თუ ამ დროს წყალი, რომელიც გობზე იყო დასხმული, მთლიანად შევიდოდა ქოთნის ქვეშ, მაშინ ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ ავადმყოფი გამოჯამრთელდებოდა.[61] ხეთურ ტექსტშიც მსგავსი მიმართვა გვხდება: **„და თქვენ, უძველესო ღმერთებო საიდანაც მოხვედით, ისევ იქ დაბრუნდით (წადით)!**“ – მიმართავს რიტუალის შემსრულებელი ქვესკნელის ღვთაებებს.[62]

საქართველოს მთიანეთში ჟამნის/შავი ჭირის გამომწვევად ღვთაებისგან მოვლენილი პატარა ადამიანის მსგავსი არსებები

---

[59] იმერეთში დღემდეა შემორჩენილი შემდეგი რწმენა-წარმოდგენა: თუკი ადამიანი შებინდებისას/ღამე სადმე გარეთ მიწაზე დამჯდარი შეხვდებოდა, შიში ჰქონდა რომ მიწიდან აყვებოდა ბოროტი, რომელიც დავადებას ან რამე სხვა უსიამოვნებას შეჰყრიდა, ამიტომ ადგომისთანავე ერთგვარ რიტუალს მიმართავდა: სამჯერ გადაანერწყვებდა მიწაზე და ამბობდა: „არაფერი ამყვეს, არაფერი ამყვეს, არაფერი ამყვეს!“ ამის შემდეგ დარწმუნებული იყო, რომ არაფერი „აყვებოდა.“

[60] მინდაძე, 2001, გვ. 75-76.

[61] გაგულიშვილი, 1986, გვ. 186; ჩხეიძე, 2001, გვ. 435.

[62] CTH 446: B IV 1 56.

მიაჩნდათ, რომლებსაც ჰქონდათ სამი ფერის ისრები: თეთრი (თეთრ ისარ დაკრული რჩებოდა, არ იღუპებოდა), წითელი (წითელ ისარ დაკრული შედარებით ავადდებოდა, მაგრამ დიდხანს ცოცხლობდა) და შავი (შავ ისარ დაკრული მაშინვე კვდებოდა). სადაც ისარი ხვდებოდა, იქ ჩნდებოდა წყლული და ავადმყოფობაც იწყებოდა.[63] საინტერესოა აქაც სამი ფერის სიმბოლიკაა, რომელიც სკნელების შემთხვევაშიც გვხდება. ამ სამი ფერის განსაკუთრებული დატვირთვა მათი მაგიური მნიშვნელობითაცაა განპირობებული. როგორც ცნობილია ისინი „მაგიური ძალის შესაფერისი ხარისხით ხასიათდებოდა. თეთრი – სუსტი მაგიური ძალის მფლობელად გვევლინება, წითელი – გაცილებით ძლიერი, ხოლო შავი – მაგიურობის უმაღლესი ხარისხით იყო აღჭურვილი."[64] ხეთებთანაც რიტუალებში გამოიყენებოდა ეს სამი ფერი, კერძოდ თეთრი, წითელი, შავი ფერის მატყლის ძაფები.[65] ასევე საინტერესოა ისიც, რომ საქართველოში სახადები („ბატონები"), რომლებიც ხალხური განმარტებით, 7 სნეულებას აერთიანებს, სულიერ არსებებად ჰყავდათ წარმოდგენილი, რომელნიც თავისი ადგილსამყოფელიდან დრო და დრო ევლინებოდნენ ხალხს. ბატონების 7 სნეულებაში შედიოდა: ყვავილს, წითელას, ქუნთრუშას, ჩუტყვავილას, ყივანახველას, ყბაყურას, წითურას. არსებობს ისეთი შეხედულებაც, რომ „ბატონები" ავადმყოფობად არ მიაჩნდათ. ბატონების უშუალო გამომწვევი ღმერთისგან გამოგზავნილი ანგელოზებია. სწორედ ამიტომ, სახადებს „ანგელოზებს", „ბატონ ანგელოზებს" „ბატონებს" უწოდებენ.[66] ვ. კოტეტიშვილის აზრით, „ივნანაში" ხსენებული შვიდი ბატონი და-ძმანი" ემთხვევიან ძველ ბაბილონურ „შვიდ ავ სულს", რომელთაც ავადმყოფობა შეაქვთ ყოველ ოჯახში.[67] მაინც საიდან მოდიოდნენ თვითონ ბატონები? ხალხურ მეხსიერებას შემორჩა ინფორმაცია მათი ადგილსამყოფელის შესახებ, კერძოდ ზოგიერთი რწმენა-წარმოდგენით ისინი მიწასთან/მიწისქვეშეთ-

---

[63] ოჩიაური, 1977, გვ. 103-104.

[64] მინდაძე, 1981.

[65] CTH 416 §43

[66] მინდაძე, 2001, გვ. 156-157. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ბატონები უნდა გადაებრძანებინათ მეცხრე დღეს. „ბატონები: სამი დღე ტანშია, სამი დღე გამოჩნდება, სამი დღე პირის ბრუნებას უნდა". (ხაჭაპურიძე, 2004, გვ. 345). აქაც საკრალური ცხრა გვხდება.

[67] ჩხეიძე, 2001, გვ. 435.

თან არიან დაკავშირებულნი.[68] ბატონების გადალოცვის რიტუალში ფიგურირებს სხვადასხვა ადგილები და მათ შორის ტყეც, როგორც უცნობი, საშიში, აუთვისებელი ადგილი დასახლებული სხვადასხვაგვარი სახიფათო არსებებით. იგი უპირისპირდება შინა, ნაცნობ, ათვისებულ, უხიფათო და სხვა სივრცეს, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დასავლურ-ქართულ მითორიტუალურ კომპლექსში ღვთაება გალენიში ორთას საუფლოს შეესაბამება. მითო-რიტუალური „სტუმრობა„ ბატონი ანგელოზებისა, სწორედ ამ „გარე„ სამყაროდან ხდება „შინაში".[69]

საკრალური რიცხვი შვიდი ბაბილონში ქვესკნელთან, ავსულის სამყოფთან იყო დაკავშირებული, საიდანაც ვრცელდება ავადმყოფობები. მესოპოტამიური წარმოდგენით ქვესკნელის შესასვლელი იყო დასავლეთში – შორეულ უსასრულობაში. ასევე ფიქრობდნენ ხეთებიც, რომ საიქიო შორეულ დასავლეთში იყო. ქვესკნელში არსებობდა ქვესკნელის ქალღმერთის „ერეშქიგალის" ($^{D}$EREŠ.KI.GAL) შვიდ კარიბჭიანი სასახლე. თითოეულ კართან მიცვალებულს რიგ-რიგობით უნდა დაეტოვებინა ტანისამოსი და სამკაულები, როგორც ჩანს, ისინი მიწიერ სამყაროსთან მაკავშირებელ რაღაც მაგიურ ძალას ფლობდნენ, განძარცულობით კი ეს კავშირი ირღვევა და შიშველი, ანუ უსუსური ხდება გარდაცვლილი ქვესკნელის ქალღმერთის წინაშე. ეს კარგადაა ნაჩვენები მითში „იშთარის ჩასვლა ქვესკნელში". ხეთებთანაც ანალოგიურად ჩანს, რომ ქვესკნელში იყო მიწისქვეშა ქალღმერთის შვიდ კარიბჭიანი სასახლე. ეგვიპტეშიც გარდაცვლილს მთელი რიგი ცერემონიების შემდეგ ბოლოს „ოსირისის" სამსჯავრო ელოდა. ხეთებთან შუამდინარელებისა და ეგვიპტელებისაგან განსხვავებით ქვესკნელი ასეთი მოწესრიგებული არ არის, ალბათ ეს განაპირობა ხეთურ რელიგიაზე სხვადასხვა ხალხის რელიგიების გავლენამ, მაგრამ რაღაც მსგავსება შეიძლება მაინც აღმოვაჩინოთ.

საყურადღებოა ქვესკნელთან დაკავშირებული ხეთური ტერმინები: *duwaduna*-, რომელიც შესაძლოა აღნიშნავდეს „მიწისქვეშა წყლის დინებას"; *tenawa*- ქვესკნელის მდინარე (მკვდართა მდინარე ?); შუმერულსა და აქადურში: KASKAL.KUR(*-la-*) მიწისქვეშა წყლის დინება, ABZU = *APSÛ(M)* ქვესკნელის წყლები. ხეთებთან

[68] ზოგი წარმოდგენით მათი სამყოფელი „ღვთის კარზეა"/ზეცაშია, ან ზღვისპირა მაღალ კლდეზე გაშლილ წალკოტთან.

[69] აბაკელია, 2007, გვ. 27-28

მიწის ქვეშ, როგორც ზღვა, ასევე მდინარეებიც ცხრა არსებობს. ცხრა წარმოადგენს რთულად დასაძლევ ბარიერს. ვისაც სურს სრულყოფილება ეს ბარიერი უნდა დაძლიოს, გადალახოს. როგორც ჩანს, ცხრას გარკვეული მაგიური დატვირთვა ჰქონდა, ზოგ შემთხვევაში განწმენდის ფუნქციაც. მიწის ქვეშ არსებული ზღვების – ქვესკნელის წყლების შესახებ მოგვითხრობს „სახლის განწმენდის და ქვესკნელის ღვთაებების მოხმობის რიტუალი„. ნერიქის ამინდის ღვთაება ჩადის ქვესკნელში დედასთან: **„ცხრა ზღვის ნაპირთან ჩავიდა იქ ქვეშ, მდინარის ნაპირებთან ჩავიდა“**.[70] ქუმარბის ციკლში კი ნათქვამია: **„...აიღო ზღვამ მიმართულება მიწის ქვეშ და მიედინა, ...აიღო გზა უკან და მიედინა ქუმარბისთან ჭიდან, მიწიდან“**.[71]

ხეთებთან ქვესკნელში შესასვლელი არის გამოქვაბულები, ჭები, გუბურები, ხელოვნურად ამოჭრილი ორმოები, ხვრელები: *ḫatteššar* – „ბუნაგი, ორმო, ხვრელი“, ანუ მიწისქვეშა სამყაროში შესასვლელი; *apita-*, $^{(D)}$*api-*, (= BÙR) ხვრელი, ნახვრეტი, ორმო (სამსხვერპლო ორმო მიწის/ქვესკნელის ღვთაებებისთვის); $^{D}$KASKAL.KUR (= $^{D}$ILLAT) (გაღმერთებული) მიწისქვეშა წყლის დინება, წყარო, ქვესკნელში შესასვლელი; $^{D}$PÚ (გაღმერთებული) წყარო, ჭა. მსხვერპლშეწირვაც ხდებოდა ხშირად ორმოებსა[72] და ჭებში ქვესკნელის ღვთაებების გულის მოსაგებად, რათა ისინი არასოდეს ამოსულიყვნენ მიწის ზედაპირზე და არ მოეტანათ სხვადასხვა სახის უბედურება: ქარიშხალი, წყალდიდობა, ხანძარი, ავადმყოფობა, ომიანობა, სისხლი და ა.შ.

## ქვესკნელის ღვთაებები

საინტერესოა, რომ ხეთური ასტრალური ღვთაებები ხშირად არიან მჭიდროდ დაკავშირებული მიწისქვეშა სამყაროსთან. საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხათური წარმოშობის ღვთაებები ხთონურნი არიან, ისეთებიც კი, რომელთა ადგილიც მხოლოდ ცაზეა.[73] თვალშისაცემია განსაკუთრებით უზენაეს ღვთაებათა ხთონური ასპექტი. მაგალითად, ამინდის

---

[70] Haas, 1976, s. 198

[71] იქვე.

[72] საინტერესოა, რომ ზოგ შემთხვევაში სამსხვეროპლო ორმოში დებდნენ მიწაში ჩასარჭობ საკულტო ჭურჭელს (*kupta/i*), რომელშიც ათავსებდნენ შეწირულობებს (ხაზარაძე, 2002, გვ. 252-253).

[73] ტატიშვილი, 2001, გვ. 132.

ღვთაება და მისი მიმართება მიწისქვეშა წყლებთან. ასევე არინას მზის ქალღმერთის გაიგივება შუმერულ ქვესკნელის ქალღმერთ ერეშქიგალთან.

ქვესკნელის ღვთაებები იყოფიან ორ ჯგუფად: *siunes ERŞETI* – „მიწის ღვთაებები“ და *siunes katteres* – „ქვემო ღვთაებები“, ანუ „მიწისქვეშა, ქვესკნელის ღვთაებები“, რომლებიც მითოლოგიურად უკავშირდებიან ცის ან მიწის გაყოფას: **„როცა გაიყვნენ ღმერთები, მიწისზედა ღმერთებმა წაიღეს ცა, ქვემო ღმერთებმა მიწის ქერქი და ქვესკნელი.**“[74]

ხეთებიც მესოპოტამიელების მსგავსად თვლიდნენ, რომ ქვესკნელს მართავდა ქალღმერთი, რომელიც გვხვდება როგორც იშთანუ ($^{D}$*Ištanu* = $^{D}$*Aštanu*-; ხათ. *Eštan*; ლუვ. $^{D}$*Tiwat*-; ფალ. $^{D}$*Tiyaz*), როგორც ვურუნშემუ ($^{D}$Wurunšemu/Urunzimu) „ქვეყნის/მიწის დედა,“ იგივე ლელვანი (ხათ.), ალანი (ხურ.), ალათუმი (უგარ.), ერეშქიგალი (შუმ.)), რომელიც ცხოვრობს მიწისქვეშ სასახლეში. ხშირად იგი მოხსენიებულია, როგორც *taknas* $^{d}$UTU – „მიწის მზის ქალღმერთი“ ან $^{d}$UTU $^{URU}$*Arina* – „ქ. არინას მზის ქალღმერთი“.[75] არინას მზის ქალღმერთისადმი მიმართულ საგალობელში წერია: **„ძველ ღვთაებებს შორის მხოლოდ შენ (ხარ) დამკვიდრებული. ღვთაებათათვის შესაწირს მხოლოდ შენ განსაზღვრავ, არინას მზის ქალღმერთო. ძველ ღვთაებათათვის წილს შესაწირიდან შენ დაადგენ. ცის ჭიშკარს მხოლოდ შენთვის ხსნიან ხოლმე და ცის კარიბჭეში მხოლოდ შენ ... გაივლი. ცისა და მიწის / ქვესკნელის ღვთაებები მხოლოდ შენ, არინას მზის ქალღმერთს, გემორჩილებიან...**“[76] ამ ასპექტით იგი არის მიწის, ქვესკნელის გამგებელი, მიწაში ჩამავალი მზე, რომელიც გაივლის მიცვალებულთა ქვეყანას და დილით ზღვიდან, მიწიდან ამოდის და ასე გრძელდება უსასრულოდ. მსგავს ფაქტს ვაწყდებით მესოპოტამიურ წარმოდგენებშიც: მზე შამაში (შუმ. უთუ) გაივლის ქვესკნელს, ამ დროს ნათდება წამიერად საიქიო (სწორედ ამ დროს შეუძლიათ მიცვალებულებს სასმელ-საჭმელის მიღება, თუ რა თქმა უნდა ვინმემ იზრუნა მათ სულებზე) და შემდგომ კვლავ ამოდის მიწიდან, ოღონდ ხეთებისგან განსხვავებით შამაში სამართლიანობის განმკარგველიცაა. საერთოდ მზე განიხილება, როგორც მარადიულობის, სიცოცხლის მუდმივი განახლების სიმბოლო: მისი ჩასვლა, როგორც გარდაცვალება, ამოსვლა კი – დაბადება, რომელიც ასე მუდმივად ენაცვლება

---

[74] Haas, 1976, ss. 205-206

[75] Haas, 1976, s. 204

[76] CTH 376 A. I 40; ტატიშვილი, 2002, გვ. 146.

ერთმანეთს. მზე ხეთებთანაც მარადიულობის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ, ოღონდ კიდევ უფრო სხვა სახე აქვს. ის ჩადის ქვესკნელში, მაგრამ არ კვდება. არ კვდება დაბადებისთვის. ის იმ ქვეყანასაც განაგებს და ამ ქვეყანასაც, ის მუდმივაა, მოძრაობაა, რომელიც დაუსრულებელ წრებრუნვაშია.

მიწის მზის ქალღმერთის ამოცანა იყო ქვესკნელის კარიბჭეების გახსნა და დედამიწის გაწმენდა ყოველგვარი უკეთურებებისაგან, ბოროტებისა და ავადმყოფობისგან. როგორც მესოპოტამიური, ასევე ხეთური წარმოდგენით მიწისქვეშა სასახლეს ჰყავდა არაერთი მსახური. „მიწის მზის ქალღმერთის ლოცვაში“[77] შემდეგი მსახურებია დასახელებული: „მიწის მზის ქალღმერთის“ ღვთაება LAMMA, „მიწის მზის ქალღმერთის მინისტრი“, „მიწის მზის ქალღმერთის მსახური“, დარავა (*Darawa*), ფარაია (*Parāya*), მთავარი საჭურისი, მთავარი დალაქი, და ბოლოს ხილაში (*Ḫilašši*).[78]

„მიწის“ ღვთაებათა ჯგუფში შეიძლება მოიაზრებოდეს ასევე: თელიფინუ, ციფარვა, ქაით / ხალქი; მიათანციფა, სუვალიათ; ომის ღვთაება – ზაბაბა;[79] შავი ჭირის ღვთაებები – ვურუნქათე, ხასამილი, იარი, ცაფანა, ნერგალი/შულინქათე; ბედისწერის ღვთაებები – ეშთუშთაია და ფაფაია;[80] „ბედის მწერლები,“ „ბედისწერის ქალღმერთები;“[81] „დედა ქალღმერთები“, (= ქალღმერთი ხანახანა;[82] ასევე დემონური თვისებების მქონე ქალღმერთები: ამამა, ვიშურიანთი,[83] – „ცუდი/ბოროტი ქალი;“[84] ხახიმა[85] – „სიმშრალე/ უძრაობა/უსიცოცხლობა.“

„ქვემო, ანუ მიწისქვეშა/ქვესკნელის ღვთაებები“ განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან, რომელიც 7,[86] 9 და 12 ღვთაებისაგან შედგება. ხეთურად მათ მოიხსენიებდნენ როგორც „უძველეს/ძველი/წინა (თაობის), თავდაპირველ /დასაბამიერ ღმერთებს“

---

77 CTH 371.

78 Haas, 1994, s.133.

79 $^{D}$ZA.BA$_4$.BA$_4$

80 Eštuštaya, Papaya.

81 $^{D}$GUL-šeš

82 DINGIR.MAH$^{MEŠ}$, $^{D}$NIN.TU / DINGIR.MAH (= (ხათ.) $^{D}$*Ḫannaḫanna*; ტატიშვილი, 2002, გვ. 143.

83 Am(m)am(m)a, Wišuriyant

84 KBo 15.25

85 Ḫaḫḫima

86 $^{D}$IMIN.IMIN.BI „შვიდი ღმერთი“ (ღვთაებათა შვიდეულის აღმნიშვნელი სახელწოდება).

(*karuilieš šiuneš*) და „ქვემო/ქვესკნელის“ (*kattereš šiuneš*) ღვთაებებს. ასევე გვხვდება DINGIR$^{MEŠ}$ *markuwai-/marwai-* ბნელი/შავი ღვთაებები (ქვესკნელის ღვთაებები). ხურიტულად „სიღრმის ღმერთები“ (*enna durenna*) ან „წინაპრების ღმერთები“ (*enna amattena*). „სიღრმის ღვთაებები“ ხურიტულმა ამინდის ღმერთმა თეშუბმა, ცისა და მიწის გაყოფის შემდეგ ქვესკნელში მოისროლა, ისინი ამის შემდეგ ქმნიან 7, 9 ან 12[87] ღვთაებებისაგან შემდგარ ჯგუფს. მათი სახელები არის ხურიტული ან ხეთური: ქუმარბი, ადუნტარი – ნათელმხილველი, ცულკი – წინასწარმეტყველი, ირვიტიგა – მიწის ბატონი,[88] აბი, თუხუში, ამეცადუ, ალალუ/ალამუ, ენლილი-ნინლილი, ანდუ-აპანდუ, ნარა-ნამსარა/ნაპსარა,[89] მინკი-ამუნკი,[90] ელტარა-ტაისტარა, მუნტარა-მუთმუნტარა.[91] წყვილები წარმოადგენენ მდედრ და მამრ ღვთაებებს და ტექსტებში სხვადასხვაგვარად ჯგუფდებიან. სუპილულიუმასა და მურსილი II-ის ხელშეკრულებებში მოხსენიებულია 12 ღვთაების ჯგუფი. ნარა-ნამ/პსარა, მინკი-ამ(მ)უნკი, თუხგუში, ამეცადუ-ალალუ, ანუ-ანთუ, ენლილ-ნინლილ, აბანდუ.[92] „უძველესი ღვთაებების“ ჯგუფს მიეკუთვნება შუამდინარული ქვესკნელის ღვთაებების ჯგუფი – „ანუნაქები“ $^{D}$A.NUN.NA.GE$_4$, რომლებიც ზოგჯერ შვიდია ან ცხრა. ისინი „სახლის განწმენდის და ქვესკნელის ღვთაებების მოხმობის რიტუალში“ რამდენიმე ადგილზე გვხვდება.[93] საინტერსოა შემდეგი ნაწილი სადაც

---

[87] იაზილიქაიას კედელზე გამოსახული 12 ღვთაება შესაძლოა ამ ღვთაებებს წარმოადგენდნენ.

[88] CTH 446: ოტენის მიერ დამუშავებულ ვერსიაში (1961) KBo 10.45Vs. I 42–43. ირპიტიგა არის „სიმართლის ბატონი.“

[89] “სახლის განწმენდის და ქვესკნელის ღვთაებების მოხმობის რიტუალში” Nara/Namsara – ყოველთვის ერთად მოიხსენიება, საკულტო ინვენტარიდან ცნობებს გვაწვდის იაკობ როსტი Bo 434u. 595, სადაც ნარა წოდებულია, როგორც „ხარი ოთხივეზე დამდგარი“ (I GUD.MAḪ GIŠ $^{DINGIR}$NA-a-ra u GUB-za ეს შეიძლება შეესატყვისებოდეს I ALAM LÚ GUB GIŠ $^{DINGIR}$MAḪ.UD), დანარჩენი ღვთაებების ფუნქცია უცნობია.

[90] ღვთაებათა ეს წყვილი შეიძლება გაიგივდეს შუმერულ წყვილთან: ენქი-ნინქი (Enki-Ninki), რადგან ენქი გვხვდება ამანკი ($^{D}$aman.ki) და უმუნქი ($^{D}$umun.ki) დიალექტური ფორმითაც.

[91] VBoT 16( = ChS 1/51988, Nr. 31) Rs. 10’ und KUB 37.34( = ChS 1/51988, Nr. 75) Rs. IV 27’-30’.

[92] Suppiluliuma I.: CTH 53, Rs. IV 41-43; CTH 49, Rs. 7-9; Mursili II.: CTH 62, Rs. IV 14-18. CTH 69”, Rs. IV 21-25; Tutbaliya IV.: CTH 105, KUB 8.82+ Rs. 21’-22’. CTH 132, Rs. IV 9’-13’ Nara, Na[psara], Amunki, Tubusi, Am(m)ez(z)ad(d)u, [Alalu], Kumarbi, Enlil, Ninlil.

[93] C II (32’); B III (16, 22, 41); B IV (21, 47, 50).

„ანუნაქების“ სინონიმად გვხვდება „უძველესი ღმერთები“ – *karuiliyaš* DINGIR$^{MEŠ}$:

**„უძველესო ღმერთებო ($^{D}$A.NUN.NA.GE$_4$)! ძღვენი [ ] მოგართვეს. თქვენ კი ეს შესაწირი აიღეთ! და თქვენ ამ სახლის მკვლელობა, უწმინდურება, ცოდვა, (ცრუ) ფიცი, შიში, წინ წაიმძღვარეთ და თქვენ ისინი ქვემოთ (ბნელ მიწაში) წაიღეთ! და თქვენ, უძველესო ღმერთებო (*karuúiliеš* DINGIR$^{MEŠ}$) საიდანაც მოხვედით, ისევ იქ დაბრუნდით!“**[94]

„ანუნაქები“ ბაბილონური კოსმოგონიის მიხედვით არიან ღმერთები, რომლებიც მარდუქმა ქვესკნელში განდევნა. „გილგამეშის ეპოსში“[95] ანუნაქები **„ადგენენ სიკვდილ-სიცოცლეს, სიკვდილის დღეს არ გააცხადებენ“**. მითში **„ინანას ჩასვლა ქვესკნელში“**[96] ისინი ასე არიან მოხსენიებულნი: **„ბრწყინვალე ერეშქიგალი საკვარცხლულზე იჯდა, ანუნაქნი, 7 მსაჯულნი მის წინაშე სამართალს სჯიდნენ.“**

ქვესკნელის ღვთაებებს მოიხსენიებენ როგორც ფიცის მოწმე ღვთაებებს და უნდა აღინიშნოს ასევე მათი კავშირი ნაყოფიერებასთან, სოფლის მეურნეობასთან და მოსავალთან. ესაა ერთგვარი ხსნა, რომელიც „მიწის მზის ქალღმერთის“ მსახურებს მოაქვთ ადამიანებისთვის მიწის სიღრმიდან.[97] ამიტომ ვურუნშემუ (ერეშქიგალი) ნახსენებია ზრდა-აღმოცენების ღვთაებებს შორისაც.[98]

საერთოდ ღვთაებებს სწირავდნენ კონკრეტული რაოდენობის შესაწირს: სამს,[99] შვიდს,[100] ცხრას,[101] თორმეტს და ზოგჯერ ოცდაათს. ძირითადად ადამიანი მსხვერპლად სწირავდა ისეთ შესაწირს, რასაც თვითონ ჭამდა და სვამდა, თუმცა არსებობდა მხოლოდ ღვთაებებისადმი განკუთვნილი განსაკუთრებული შესაწირი. ქვესკნელის ღვთაებებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

---

[94] Miller, 2008, B IV (50-56). s.217

[95] CTH 341

[96] Ni 368 + CBS 9800 (A), CBS 13932 (B), CBS 12368 + 12702 + 12752 (C), Ni 2279 (D), CBS 13908 (E), Ni 4034 (F), CBS 11064 + 11088 (G), Ni 9685 (H), PBS V 24 (I), CBS 15212 (J), Wi 4200 (K), Wi 2762 (L), YBC 4621 (M), CBS 13902 (N), CBS 15162 (O).

[97] CTH 371: KBo 7.28; CTH 820: KUB 43.23.

[98] CTH 527: KUB 38.10 Rs. IV 4’.

[99] KBo 15.36 + KBo 21.61 Vs. II 10; KBo 21.100 Vs. 15’; KUB 10.11 Rs. V 3-4; VBoT 24 Vs. II 45, Rs. IV 8, 28.

[100] KBo 21.23 Vs. I 5; KUB 51.5 marj. Kol. 8’; KUB 59.29 Vs. II 16’; KBo 5.2 Vs. II 33-34; KUB 7.506; IBoT 3.148.

[101] KBo 2.17 1; KBo 19.128, Vs. III 2-4; KBo 21.34, Vs. II 16; KUB 7.33 Vs. 17; KUB 7.355’; KUB 7.50 6’; KUB 15.31 Rs. III 60; !BoT 3.148 Vs. ISO.

მსხვერპლს ძირითადად ორმოებში და ჭებში სწირავდნენ. ხეთებს მიაჩნდათ, რომ ეს ადგილები მიწას აკავშირებდა ქვესკნელთან. ასევე კერას ჰქონდა უმნიშვნელოვანესი სარიტუალო დატვირთვა. იგი მიწისა და მიწისქვეშეთის დამაკავშირებელი ადგილი იყო.

რიტუალში მნიშვნელოვანი იყო წყალი, რომელსაც ჰქონდა განწმენდის/განბანვის ფუნქცია, თუმცა ვხვდებით განწმენდის თვალსაზრისით ღვინის, ლუდის, ზეთის სხურებასაც. ზოგადად წყალი (წყარო, მდინარე) ფლობს მაგიური გასუფთავების ძალას, ხეთებთანაც ასე იყო: **„შენ მდინარევ! გაწმინდე შთამომავლობის სიცოცხლე და მოგვეცი შემდგომი გამრავლების ძალა“**.[102] – გვეუბნება ტექსტი. განწმენდის თვალსაზრისით საინტერესოა „სახლის განწმენდის და ქვესკნელის ღვთაებების მოხმობის რიტუალი“, სადაც რიტუალის შემსრულებელი (შემლოცველი, მაგი, ქურუმი) მთელი რიგი ცერემონიების შემდეგ მიდის მდინარის (წყაროს) ნაპირთან და ამბობს:

**„აი, მე ადამიანისშვილი მოვედი! როგორც დედა ქალღმერთი ხანახანა (მისი) შთამომავლობა ნაპირს დაეპატრონა, მეც ადამიანიშვილი (წყაროს) ნაპირთან მოვედი უძველესი ღვთაებების მოსახმობად! მიწის მზის ღმერთმა კარიბჭე გახსნას და მიწისქვეშა ღმერთები, მიწის მზის ღმერთმა, მიწიდან მაღლა ამოუშვას!“**[103] რათა განწმინდონ სახლი ეზო-კარმიდამო ყოველგვარი უკეთურებისგან და ქვესკნელში ჩაიტანონ სამუდამოდ.

შთამბეჭდავია წყაროს წყლის ძალა განწმენდის თვალსაზრისით და საყურადღებოა, რომ განსაწმენდად იშთარს წყაროდან მეცხრედ ამოხაპული წყალი მიაქვს. აქაც ფიგურირებს მაგიური, საკრალური რიცხვი ცხრა:

**„მან (იშთარმა) წყაროს უთხრა, ლელიანს უთხრა, (და) მან უთხრა Pitin[hi-s], წყლის ღვთაებას: ‘მომეცი მე წყალი, რომელთანაც მოვედი, მე ის წყალი მომეცი განსაწმენდად, რომელიც მკვლელობას (და) ფიცის (დარღვევას) განწმენდს, რომელიც ჭიშკრის ნაგებობას განწმენდს, საერთო (ბოროტი) ნალაპარაკების, წყევლის, ცოდვის და შიშისაგან განწმენდს!’ [წყარო] იშთარს პასუხობს: ‘ამოხაპე წყალი [შვიდჯერ ან რვაჯერ. დაასხი წყალი ისევ შვიდჯერ, რვაჯერ! [წყალს, რომელსაც მეცხრეჯერ] ითხოვ, ამოხაპე ეს წყალი და წაიღე ის თან!’“**[104]

ქართულ შელოცვის ტექსტში გვხვდება: **„ცხრა წყაროს წყალი ერთ ბოთლში იქნება მოგროვებული და ცხრა გვარის ქალი ცხრაჯერ გამოულოცავს შეშინებულს...“**[105] აქაც წყალთან კავშირში ცხრას საკრალური დატვირთვა ჰქონდა.

---

[102] Haas, 1976, s. 199

[103] Otten, 1958, s. 120; Miller, 2008. (CTH 446. Vs. B I 49’-54’). s. 209-210.

[104] CTH 446: Otten, 1958, s. 124 (Vs. II. 30-31); Miller, 2008, Vs. II 36-38.

[105] ხაჭაპურიძე, 2004, გვ. 345.

ქართველთა უძველეს წარმოდგენებშიც წყალს მაგიური, განმწმენდის ფუნქცია ჰქონდა. იგი გამოიყენებოდა როგორც აპოთროპეული, ისე კატარტული მიზნით. (მაგალითად, სურდოს დროს ავადმყოფს გამდინარე წყალში დაბანდნენ, სწამდათ ავადმყოფობას წყალი წაიღებდა; ციებიან ავადმყოფს წყალში შეუშვებდნენ და სწამდათ, რომ ცივი წყალი ავადმყოფობას შეაშინებდა; „ქურდ-ოფლიანობის" დროს დასუსტებულ ადამიანს ცივ წყალს დაასხამდნენ, რათა ავადმყოფობა შეშინებულიყო და მისი სხეული დაეტოვებინა). ცნობილია, რომ შეშინება, შიში აპოთროპეული მაგიის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა.[106]

რაც შეეხება შესაწირს, სასურველი იყო ის ახალშობილი ყოფილიყო. მაგ.: ბატკანი, როგორც უბიწოების და უდანაშაულობის სიმბოლო, მხოლოდ ასეთი მსხვერპლი იყო ღმერთებისთვის მისაღები. შესაწირი ასევე სხვადასხვა სახის შეიძლება ყოფილიყო, მაგალითად: სასმელი/სითხე: ღვინო (სხვადასხვა სახით), ლუდი (სხვადასხვა სახით), ზეთი (სხვადასხვაგვარი), თაფლი, რძე; ცხოველი/ცხოველური: ბატკანი, ცხვარი, თხა, ხარი, /საქონლის ღვიძლი, საქონლის სხვადასხვა ნაწილები;[107] ფრინველი (ჩიტი); სხვადასხვა ბურღულეული/მარცვლეული: პური (სხვადასხვაგვარი), ქერი, ემერი, ცერცვი, ალაო, ქინძი, კვლიავი (ძირა), ქიშმიში და ა.შ.; მცენარეული წვნიანი, ფაფეული (მაგ.: ქერის); რძის ნაწარმი: ყველი, კარაქი; ხილი, ქიშმიში; ვერცხლის მონეტა და ა.შ. ვერცხლის, სპილენძის მონეტების მსხვერპლშეწირვას ძველ ქართულ რიტუალებშიც ვხვდებით. მაგ,: მშენებლობისას საძირკვლის ოთხ კუთხეში ატანდნენ.[108]

ქართველ მთიელთა წარმოდგენით ნებისმიერი უბედურება, ავადმყოფობები ღვთაებათა სასჯელად იყო მიჩნეული, ამიტომ მათი გულის მოსაგებად საკლავს კლავდნენ (ცხვარს, მოზვერს, ხარს), სწირავდნენ სპილენძს, ვერცხლს, „თეთრ ფულს", მამულს და.აშ. ხარშავდნენ ლუდს, აცხობდნენ პურებს.[109] პურის უამრავი სახეობა არსებობდა, აცხობდნენ სხვადასხვა ფორმის პურებს, ან პურებზე გამოსახული იყო სხვადასხვა ფიგურები, მაგ.: მზე,

---

[106] მინდაძე, 1981, გვ. 85-86.

[107] სუფთა მსხვერპლშესაწირ ნაწილებად ითვლებოდა ასევე, გული, თავი, მკერდი, ნეკნები, ფეხები: KBo 13.101 Vs. 18; KUB 10.88 Rs. IV 8'-10'; KUB 27.1 Vs. I 15-16; KBo 23.42( = ChS I12 Nr. 16) Vs. II 8-13; KBo 24.57 + (= CHS 1/2 Nr. 17) Vs. II 3-16; KBo 29.213; KUB 32.123 + (= StBoT 30, 1985, 304-311) Rs. III 48-51.

[108] ხაზარაძე, 2002, გვ. 255.

[109] მინდაძე, 1981, გვ. 91-93.

მთვარე, ვარსკვლავები. ცხოველის/ფრინველის მსხვერპლეშეწირვის დროს ითვალისწინებდნენ მსხვერპლის ფერს. წესისამებრ, შავი ფერისას ქვესკნელის ღვთაებებს სწირავდნენ, თეთრს კი ცის ღვთაებებებს. მაგ. საქართველოში სახლის საძირკვლის მშენებლობისას შავი ფერის შინაურ ფრინველს სწირავდნენ (შავი მამალი, შავი დედალი), რაკი შავი (საძირკველი) მიწასთან ასოცირდებოდა, ბუნებრივია უპირატესობა შავი ფერის ფრინველს ენიჭებოდა.[110] ცხვარი კი ერთი იმ ცხოველთაგანია, რომელთა გამოსახულებასაც ადამიანი ძველთაგანვე მიაწერდა ავი სულებისაგან დაცვის უნარს. შეიძლება იმიტომ, რომ ცხვარი, ჩვეულებრივ სამსხვერპლო ცხოველს, ზვარაკს წარმოადგენდა.[111] ასევე ხდებოდა შესაწირი ცხოველის დანაწევრება, მოხარშვა, შემდეგ გარკვეული ნაწილის მირთმევა. ცეცხლსაც მაგიური განწმენდის ფუნქცია ჰქონდა. კერაც საკრალური მნიშვნელობის მატარებელი იყო. როგორც ვხედავთ, აქაც ჩანს გარკვეული პარალელები ხეთურ მსხვერპლშესაწირთან მიმართებაში.

სარიტუალო ინვენტარში შედიოდა ასევე ვერცხლი, ოქრო, რკინა, კალა, (ძვირფასი) ქვა, კარნეოლი; გამომწვარი თიხის ჭურჭელი; ლერწმისაგან მოწნული ჭურჭელი.

ხეთებთანაც შესაწირის რამდენიმე ფორმა არსებობდა: ღვთაებებისთვის მირთმევა, მოხარშვა, დაწვა, განადგურება, დანაწევრება, რაღაც ნაწილის (მაგ.: საქონლის ცხიმის) მირთმევა.

რიტუალის შემსრულებელი რამდენიმე ფორმით გვხდება: $^{LÚ/MUNUS}$AZU (ÚZU) – ექიმი, მისანი, მაგი, ნათელმხილველი, მკითხავი; $^{LÚ}$ḪAL ($^{LÚ}$AŠ.AŠ) – ნათელმხილველი, ზედამხედველი, მსხვერპლშემწირველი, (შესაწირის შიგნეულობაზე) მკითხავი, ხეთ. *ariyašeššar* (= MÁŠ; BĪRU; KIN; $^{MUNUS}$ENSI; $^{LÚ}$IGI.DÙ, $^{LÚ}$IGI.MUŠEN; $^{LÚ}$MÁŠ.ŠU.GÍD(“SUD”).GÍD(“SUD”)). ქართულ სინამდვილეშიც ასეა, მლოცავი, შემლოცველი, მკითხავი ერთი და იგივე ადამიანი იყო.

ზოგიერთ მაგიურ წარმოდგენებს უდევს საფუძვლად დუალიზმის პრინციპი: ჯანმრთელობა-ავადმყოფობა, ნაყოფიერება-უნაყოფობა, სუფთა-უსუფთაო, დამძიმებული-განტვირთული და ა.შ. უსუფთაობის მდგომარეობა არის დამძიმება, სისუფთავე არის განტვირთულობა. ამ დუალიზმს მიჰყვება არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ღმერთებიც და მთელი ბუნება. თუ ადამიანი

---

110 ხაზარაძე, 2002, გვ. 255.

111 ბურდული, 2000, გვ. 117-123.

დაავადდა, უბედურება შეემთხვა და ა.შ. ეს არის უსუფთაობის მიზეზი. ეს სიმძიმის მდგომარეობაა, რომელიც დაიძლევა მაგიური შელოცვის რიტუალის შესრულებით. ვისაც უჩივიან არის მაგი, მომჩივანი – მოჯადოებული (უსუფთაო, უწმინდური). მომჩივანის კანონიერი დამხმარეები არიან ზემო მიწიერი ღმერთები განსაკუთრებით ამინდის ღვთაება. მსაჯულნი არიან ქვესკნელის ღმერთები. მხოლოდ მათ შეუძლიათ რიტუალისა და მსხვერპლშეწირვის შემდეგ უწმინდურება, უსუფთაობა, დანაშაული, ბოროტება, ცოდვა და სხვ. კვლავ უკან წაიღონ – ასე დევს ყოველგვარი უკეთურება მიწისქვეშა სამყაროში. ამიტომ განწმენდის რიტუალებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქვესკნლეთან დაკავშირებული ავი სულებისადმი შელოცვებსა და რიტუალებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქრისტიანობამდელ საქართველოშიც.

Nino Tscharekischwili

**Hethitische Vorstellungen über die Welt und der Unterwelt und Parallelen zu früheren georgischen Weltanschauungen**

In Anatolien entstand in den III-I-Jahrtausenden v. u. Z. eine Reihe von großen oder kleinen Staaten, die jedoch aufgrund verschiedener Umstände allmählich aus der Arena der Geschichte verschwanden. Das Gebiet ist seit der Antike in Zentralanatolien politisch, wirtschaftlich und kulturell fortgeschritten, wo ein Staat gebildet wurde, der nicht nur in Kleinasien, sondern im gesamten Nahen Osten zur mächtigsten politischen Einheit wurde. Es war das Königreich der Hethiter, das im II. Jahrtausend v. u. Z. existierte, aber im XIII. Jahrhundert v. u. Z. fiel es infolge der Überfall der `Seevölker.~ Basierend auf den Hethitischen Überzeugungen, der Religion, der Mythologie werden Rituale von den Ansichten verschiedener Völker in Iconium (Hatisch, Hurritisch, Mesopotamisch) praktiziert und sind von Natur aus unterschiedlich. Einige Parallelen finden sich zwischen den Hethitischen Überzeugungen und den alten Georgischen Glaubensvorstellungen, über die wir unter dem Artikel diskutieren werden.

Der Artikel besteht aus drei Teilen: Hethitische Kosmogonie; Unterwelt bei den Hethiten. Die Gottheiten der Unterwelt. Der Artikel beschreibt die Darstellungen der Hethiter des Universums, der Unterwelt und der Funktionen der Unterweltgottheiten. Der Schwerpunkt liegt auf der Symbolik von Zahlen und Farben und vielen anderen Aspekten, die wie die Hethiter Parallelen in der Mesopotamischen und früheren Georgischen Kultur finden.

Nach Ansicht der Hethiter bildete das Universum einst die Einheit von Himmel und Erde, die sich dann spaltete. Wie aus den Texten hervorgeht, wurden Himmel und Erde nach der Teilung zu getrennten Welten geformt, und manchmal wurde die Erde verwendet, um die Unterwelt zu bezeichnen. Im Allgemeinen teilten die Hethiter die Welt in drei vertikale Teile: Der Himmel, der Untergrund und der Raum zwischen ihnen. Das Universum wurde horizontal in Form einer Scheibe dargestellt, wobei die obere Hälfte den Himmel, aber die untere Hälfte die Erde umfasste, wobei in der Mitte eine Atmosphäre gab. Es gab „vier Ecken der Welt" im horizontalen Raum (vier Seiten der Welt). Nach der Mesopotamischen Darstellung gab es sieben Schichten des Himmels, sieben Himmel. In der Georgischen Folklore kommt einen Ausdruck vor: „neunter Himmel", „auf dem neunten Himmel", was nach neun Schichte hinweisen konnte. Der Himmel sieht nicht so durcheinander bei den Hethiter aus, es war ein einziges festes, vermutlich eisernes Material. Die Erde wurde in drei Schichten unterteilt: Der obere Teil der Erde ist das „obere Land", welches der Lebensraum von Pflanzen, Tieren und Menschen ist; Danach „mittlere Erde", wo die unterirdische Quellen gaben. Aber tiefer gab „untere Erde" - Unterwelt.

In der Georgischen Realität wurde die Welt nach vorchristlichen kosmogonischen Darstellungen geometrisch in Form einer vom Meer oder den Bergen begrenzten Kugel dargestellt. Am Ende des Landes stand ein Lebensbaum (Säule, Turm, Hörner, Kette vom Himmel usw.), der die vertikale und die horizontale Welt verband. Die Kugel bestand aus drei horizontalen und zwei vertikalen Schichten, die wie folgt angeordnet waren: das Zentrum der Welt stellte Mittelwelt dar (Die Welt der Menschen, Tiere, Pflanzen auf der Erdoberfläche entspricht rote Farbe), darüber gab eine Oberwelt (himmlische, göttliche und die Welt von „Gott auserwählte` (sogenannte ,,Gotteskinder"/„Kinder Gottes"), dargestellt durch weiße Farbe), unten - Unterwelt (Unterwelt, chthonische Welt für Verstorbenen, schwarz), vorne - Vorwelt (hell, reiche Welt, entspricht „hier") und hinter - der Letzte (die Welt der Vergangenheit, dunkel, geheim, voll mit Überraschungen und Unglück, entspricht „dort", aus diesem Grund ist es verboten, bei vielen Rituale zurückzublicken). Die vertikalen Welten sind durch Luft und Land getrennt, während die horizontalen Welten durch sieben (neun) Berge oder Meer getrennt sind. Dieses System wurde von der äußersten Welt begrenzt. Basierend auf den Georgischen ethnografischen und folkloristischen Materialien wurden die Welten, wie bereits erwähnt, mit bestimmten Farbsymbolen ausgedrückt: weiß, schwarz und rot. Direkt ähnliche Farbsymbole (schwarz, rot, weiß) kommen in allen drei Welten der Mesopotamischen Mythologie zum Ausdruck. Wir finden keinen

solchen symbolischen Ausdruck der Farben der Welten mit den Hethiter, obwohl wir sagen können, dass die Unterwelt auch mit ihnen in Schwarz ausgedrückt wurde (schwarze/dunklere Erde = Unterwelt).

Der symbolische Ausdruck der Vereinigung von Himmel und Erde war eine Treppe, ein Baum, eine Säule und s.w. Der Verbinder von Himmel und Erde mit dem Hethiter, eine kosmische Verbindung sollte eine Treppe sein. In der Mesopotamischen Mythologie kommt der Begriff „Durank" vor - das kosmische Herz, durch das die „große Achse" (Weltachse) des Universums verläuft. In Akkadisch kommt eine Pflanze, die Himmel und Erde verbindet vor. In der Georgischen Mythologie kommt „Schibi" vor, eine verbindende Goldkette zwischen Himmel und Erde (Himmel und Welt).

Es ist auch interessant, dass der Baum des Lebens wie die Babylonische Mythologie ähnlich Hethitisch vorkommt, mit Wurzeln, die die Unterwelt, aber die Blättern den Himmel imitieren. In ähnlicher Weise gab es in Georgischen Traditionen einen heiligen Baum, den Baum des Lebens (z. B. Eiche), dessen Wurzeln die Unterwelt, der Körper der Mitte, aber die Spitze Oberwelt mit darin wohnenden Naturen symbolisierten. In Georgischen Aufführungen ist Imitation von heiligem Baum, Lebensbaum auch eine „Mittelsäule" (sogenannte „Muttersäule"/„Hauptpfeile") von Georgischer Halle, die sich an der zentralen Stelle des Hauses befand und die kosmische Verbindung symbolisierte.

In altem Orient kommt Symbolik der Zahlen sehr oft vor, natürlich stellt auch die Welt von Hethiter keine Ausnahme dar und in diese Richtung sind auch Georgisches Glauben und Vorstellungen interessant. Seit der Antike haben die Zahlen eine magische Bedeutung im Glauben verschiedener Völker, und einige Zahlen haben eine besondere Bedeutung und Kraft. Z.B.: unter den 3, 4, 7, 9, 12. Zahlen, vor Allem meinte man eine um Verstehen und Beschreibung der Welt nötige Kode und daher hatten sie heimliche Bedeutung. Z.B.: Nach früheren Georgischen Vorstellungen war die Sonne die höchste Gottheit, neun sind die symbolischen Zahlen der Sonne als ständiger Zyklus, Erneuerung, Ewigkeit, und das Symbol ist das Auge (allwissend), daher der Ausdruck „neunäugige Sonne" d.h. allwissend. Die Darstellung der Hethiter drückte auch die Einheit des Universums in der Gottheit der Sonne aus, die die Vereinigung zwischen Himmel und Erde symbolisiert, d. h. er ist der oberste Gouverneur aller Gottheiten im Himmel und in der Unterwelt.

Es war wie bei den Hethitern im Georgischen Glauben, sich zwischen den Welten zu bewegen, war kein Problem. Im Gegensatz zu Mesopotamischen Vorstellungen, bei denen die Unterwelt streng von der Oberwelt der Erde getrennt ist.

Jede von den Hethitern vertretene Welt hatte ihre eigenen Gottheiten, die in den Hethitischen Texten wie folgt zu finden sind: „Himmel“ -, „Erde“ - und „niedere / alte“ Gottheiten. Sowohl nach Hethitischem als auch frühere Georgische Glaubensvorstellungen wurden Krankheiten durch mit der Unterwelt / Erde verbundene böse-Geister verursacht, so dass der böse-Geist hauptsächlich vom Land und manchmal vom Wasser auf den Menschen übertragen werden konnte. Dementsprechend gab es Rituale mit den Hethitern, die das Haus, dem Hof von allen Übeln säuberten, und nach vorgeorgischen Vorstellungen versuchten sie, die Kranken mit speziellen Zaubersprüchen und Ritualen zu heilen.

Es ist bemerkenswert, dass bei den Hethitern, wie in den Mesopotamischen Grundwasservorstellungen, das Wasser der Unterwelt häufig in Ritualen vorkommt. Es gibt neun Meere sowie neun Flüsse. Neun stellt eine schwer zu überwindende Barriere dar. Wer Perfektion will, muss diese Barriere überwinden. Neun scheint eine magische Last gehabt zu haben, in einigen Fällen sogar eine Reinigungsfunktion. Es ist interessant, dass wir sowohl in der Hethitischen als auch in der Georgischen Mythologie neun Himmel, neun Berge und neun Meere finden. Im Allgemeinen hatte Wasser sowohl bei den Hethitern als auch bei den früheren Georgischen Überzeugungen eine reinigende Funktion.

Die Gottheiten der Unterwelt sind in zwei Gruppen unterteilt: „Gottheiten der Erde“ und „niedere Gottheiten“ oder „unterirdische Gottheiten der Unterwelt“, die mythologisch mit der Teilung von Himmel oder Erde verbunden sind. Die Gottheiten der „Unterwelt“ bilden eine spezielle Gruppe bestehend aus 7, 9 und 12 Gottheiten. In Hethitisch wurden sie als „die alten / alten / früheren (Generationen), ursprünglichen / grundlegenden Götter“ bezeichnet. Die Hethiter glaubten wie die Mesopotamier, dass die Unterwelt von einer Göttin regiert wurde, die in einem unterirdischen Palast lebte.

Den Gottheiten der Unterwelt wurden verschiedene Arten von Opfern angeboten: Drei, sieben, neun, zwölf und manchmal dreißig. Opfer fanden hauptsächlich in Gruben, Brunnen statt. Die Existenz von Altarbrunnen wird auch im vorchristlichen Georgien bestätigt. Die Hethiter glaubten, dass diese Orte das Land mit der Unterwelt verbanden. Der Herd hatte auch die wichtigste rituelle Bedeutung. Es war ein Ort, der Erde und Unterwelt verband. Es gab verschiedene Formen des Opfers: die Gottheiten essen, kochen, verbrennen, zerstören, zerstückeln und so weiter. Nur die Götter der Unterwelt konnten nach Ritualen und Opfern Unreinheit, Unreinheit, Sünde, Böses, Sünde usw. begehen. Sie sollten es wieder zurück nehmenso liegt jedes Übel in der Unterwelt. Reinigungsrituale waren daher für die Hethiter von großer Bedeutung, und Zauber und Rituale für die böse-Geister waren auch im vorchristlichen Georgien von großer Bedeutung.

## გამოყენებული ლიტერატურა


აბაკელია, ნ., უძველესი კოსმოლოგიური კონცეპტები და არქაული რელიგიური სიმბოლოები ქართველთა კულტურულ მეხსიერებაში, თბილისი, 2017.

აბაკელია, ნ., „დაიმონები“ ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში, „სემიოტიკა“, №3 2008. გვ. 151-167.

აბაკელია, ნ., სიცოცხლის ციკლთან დაკავშირებული საკრალური ხის სიმბოლიკა ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში, თბილისი, სემიოტიკა-სამეცნიერო ჟურნალი, № I, 2007, გვ. 23-41.

ახუაშვილი, ნ., ხეთური დაკრძალვის რიტუალი და პარალელები ქართულ სამყაროსთან. „ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოების შრომები 3“. თბილისი. 2007.

ბერიაშვილი, მ., დაკრძალვის რიტუალი ხეთებთან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“. XXXVI-B. მეცნიერება. თბილისი. 1982.

ბურდული, მ., ძველი ქართული მედიცინა არქეოლოგიური მასალის მიხედვით, შრომების კრებული, №2, ახალციხე, 2000გვ. 117-123

გაგულიშვილი, ი., ქართული მაგიური პოეზია. თბილისი. 1986.

გელაშვილი, ე., ორნამენტული სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში (დისერტაცია). თბილისი. 2014.

გიორგაძე, გრ., ხათები (პრო-ტოხეთები), უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომალობა. თბილისი. 2002. გვ. 77 შმდ.

გიორგაძე, გრ., ხათური (პროტოხეთური) ენა და ხათები (პროტოხეთები). საკითხის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა, ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი. 1999. გვ. 168 შმდ.;

კიკნაძე, ზ., შუამდინარული მითოლოგია. თბილისი. 1979.

მინდაძე, ნ., რელიგიური სინკრეტიზმი ქართულ ხალხურ მედიცინაში, ქართველური მემკვიდრეობა, V, თბილისი. 2001. გვ. 156-157.

მინდაძე, ნ., ქართული ხალხური მედიცინა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბილისი. 1981.

ნიკოლაძე-ლომსიანიძე, ნ., - სამკურნალო შელოცვები, ქართველური მემკვიდრეობა XV, თბილისი. 2011.

ოჩიაური თ., ხევსურები და ხევსურეთი, თბილისი. 1977, გვ. 103-104.
სუხიშვილი, თ., სომატური სახელები ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით ძველი ბერძნულისა და ქართულის მიხედვით (დისერტაცია), თბილისი, 2010.
ტატიშვილი, ი., ქართულ-ხეთური ლექსიკონი. თბილისი. 2017.
ტატიშვილი, ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი. ნაკვეთი 9: შუმეროგრამები. თბილისი. 2013.
ტატიშვილი, ი., ხეთების კოსმოლოგიის საკითხები. ენა და კულტურა. №3. თბილისი. 2002. გვ. 141-147.
ტატიშვილი, ი., ხეთური რელიგია. თბილისი. 2001.
ჩხეიძე, ე., რიცხვთა სიმბოლიკა ქართულ ფოლკლორში. ლიტერატურული ძიებანი. №22. თბილისი. 2001. გვ. 435
ხაზარაძე, ნ., ძველანატოლიურ სამყაროსთან ქართველთა ეთნოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ქართველური მემკვიდრეობა VI, თბილისი. 2002.
ხაჭაპურიძე რ., საკრალური რიცხვები შელოცვებში. ქართველური მემკვიდრეობა. VIII. თბილისი. 2004. გვ. 344-351.
ხიდაშელი, მ., ფერის სიმბოლიკა მახლობელი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურებ-სა და ქართულ ხალხურ კულტურაში. საქართველოს სიძველენი. №11. თბილისი, 2007. გვ.11-28.
ხიდაშელი, მ., ბრძოლის კოსმოგონიური კონცეფცია საქართველოს უძველეს სულიერ კულტურაში. საქართველოს სიძველენი. №2. თბილისი. 2002. გვ. 7-17.
ხიდაშელი, მ., სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში თბილისი. 2001.
ხუციშვილი, ქ., წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენები საქართველოში. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. თბილისი. 2010. გვ. 392-403.
შარაშენიძე, ჯ., შუმერული ქრესტომათია, თბილისი 2005.
ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, (რედ.) გიორგაძე, გრ., თბილისი. 1990.
ჯავახიშვილი ივ., ქართული ერის ისტორია, წგნ., I, თავ. II. თბილისი. 1960
Гамкрелидзе, Т. & Иванов, Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейстика, (реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры) Тб.,1984.
Куфтин, Б., Археологические раскопки в Триалети. Тбилиси. 1941.
Akdoğan R. & Wilhelm, G., Hethitische und hurritische Keilschrifttafeln aus dem Besitz des Museums für Anatolische Kulturen in Ankara. ZA 93. 2003. 214-220;

Archi, A., The Names of the Primeval Gods, Orientalia. Nova Se-ries 59. 1990. pp.114-129.

Beckman, G., Mythologie. A. II. Bei den Hethitern, Reallexikon der Assyriologie [RLA] 8, 5/6. 1995.

Bittel, K. & Naumann, R., Boğazköy-Ḫattuša: Architektur, Topographie, Landeskunde und Siedlungsgeschichte. 1972.

Collins, B. J. in: Hallo, W. W., Context of Scripture, Vol. I, Canonical Compositions, Leiden; Boston. 2003. 168-171;

Deighton, H., The `Weather-god~ in Hittite Anatolia. An examination of the archaeological and textual sources, Oxford, 1982, 65;

Friedrich, J., Hethitisches Wörterbuch (HW). Kurzgefasste kritische Sammlung der Deutungen hethitischer Wörter. Heidelberg, 1952.

Friedrich, J., & Kammenhuber, A., & Hoffmann, I., (HW). Hethitisches Wörterbuch. Zweite, völlig neuarbeitete Auflage auf der Grundlage der edierten hethitischen Texte. Heidelberg, Bd. I: A. 1975-1984; Bd. II: E.1988; Bd. III/1: H. 2007; Bd. III/2: H/2. 2010; Bd. IV: I. 2014; Bd. V: K. 2017.

Gurney, O., Some Aspects of Hittite Religion, Oxford. 15 f.; 1977.

Gurney, O., The Hittites. 1966. pp. 164-170.

Guterbock, H.G.,& Hoffner, H., The Hittite Diktionary. Of the Oriental Institute of the University oh Chikago. L-N. 1989; P. 1997; Š/1. 2002; Š/2. 2005.

Haas, V., Hethitische Orakel, Vorzeichen und Abwehrstrategien. Ein Beitrag zur hethitischen Kulturgeschichte. Berlin. 2008.

Haas, V., Geschichte der hethitischen Religion (HdO 1/34), Leiden; New York; Köln. 1994.

Haas, V., Die Unterwelts- und Jenseitsvorstellungen im hethitischen Kleinasien. Orientalia 45/ 1-2. 1976.

Haas, V., Der Kult von Nerik. Rome. 1970. 140 ff.

Jordan, M., Dictionary of Gods and Goddesses. Second Edition. New York. 2004.

Janowski, B & Wilhelm, G., Omina, Orakel, Rituale und Beschwőrungen. Band 4. 2008.

Klengel, E., Die Hethiter. Munchen. 1970.

Klinger, J., Untersuchungen zur Rekonstruktion der hattischen Kultschicht, Studien zu den Bogazköy-Texten [StBoT] 37. 1996.

Kloekhorst, A., Etymological Dictionary of the Hittite Inherited Lexicon. Leiden / Boston, 2008.

Laroche, E., Asianiques (Religions). Définitions et prob-lématique, Dictionnaire des Mythologies. Paris. 1981. 96.

Laroche, E., Recherches sur les noms des dieux hittites, Paris. 1947. p. 18;
Macqueen, J.G., Hattian Mythology and Hittite Monarchy, Anatolian Studies 9, London. 1959. 171sqq.
Masson, E., Réalité ou méta-phore. De l'intelligence des documents écrits ou figurés des Hittites, Revue de l'Histoire des Religions 213/1. 1996.
Masson, E., Le combat pour l'immor-talité. Héritage indo-européen dans la mythologie ana-tolienne. Paris. 1991.
Miller, J. L., Ein Ritual zur Reinigung eines Hauswesens durch eine Beschwőrung an die Unterirdischen (CTH 446). 2008. p. 206-217
Miller, J. L. Joins and Duplicates among the BoÉazköy Tablets (21-30), ZA 107. 2007. 133-141.
Neu, E., Betrachtungen über ein hurritisch-hethitisches Textensemble aus Hattuša, Religionsgeschichtliche Beziehungen zwischen Kleinasien, Nordsyri-en und dem Alten Testament, Fribourg / Göttingen. 1993. p. 345.
Neu, E., Der alte Orient: Mythen der Hethiter, `Mythos~: Erzählende Weltdeutung im Span-nungsfeld von Ritual, Geschichte und Rationalität. Trier. 1990. p. 94.
Neu, E.. Glossar zu den althethitischen Ritualtexten. Wiesbaden, 1983.
Neu E. & Rüster, Ch. Zur Datierung hethitischer Texte, FS H. Otten, Wiesbaden. 1973. p. 223-235.
Otten, H., Materialien zum hethitischen Lexikon. Wiesbaden, 1971.
Otten, H., Eine Beschwőrung der Unterirdischen aus Bőĝazkőy. ZA 10 (54). 1961. 114-157.
Otten, H., Hethitische Totenrituale. Akademie-Verlag. Berlin. 1958.
Peter, H. Götter auf Erden (LSAAR 14), Stockholm. 2004. 224-26.
Popko, M., Religions of Asia Minor, Warsaw. 1995. p.36.
Puhvel, J. Hittite Etymological Dictionary (HED). Berlin/New York /Amsterdam, Vol.1: A; Vol. 2: E, I (1984); Vol. 3: Ḫ (1991); Vol. 4: K (1997); Vol. 5: L (2001); Vol. 6: M (2005); Vol. 7: N (2007); Vol. 8: PA (2011); Vol. 9: PE, PI, PU (2013); Vol. 10: SA (2017).
Rüster, Ch. & Neu, E., Deutsch-Sumerographisches Wörterverzeichnis: Materialien zum Hethitischen Zeichenlexikon, Studien zu den Boğazköy-Texten, Heft 35, Wiesbaden, 1991.
Rüster, Ch. & Neu, E., Hethitisches Zeichenlexikon. Inventar und Interpretation der Keilschriftzeichen aus den Boğazköy-Texten. Wiesbaden, 383-384 (StBoT, Beiheft 2). 1989.
Singer, I., Muwatalli's Prayer to the Assembly of Gods through the Storm-

God of Lightning (CTH 381), American Schools of Oriental Research. 1996.

Soysal, O., Hattischer Wortschatz in hethitischer Textüberlieferung. Handbuch der Orientalistik, Abt. 1, Bd. 74. Leiden, Boston 2004.

Steiner, G., Die Unterweltsbeschwörung des Odysseus im Lichte hethitischer Texte, UF 3, 1971. 265-283;

Steiner, G., Gott. D. Nach hethitischen Texten, RLA 3/7. 1969. S. 552.

Tenner, E., Tages- und Nachtsonne bei den Hethitern, Zeitschrift für Assyriologie und Vorderasiatische Archäologie [ZA] 4. 1929. s. 187.

Tischler, J., Hethitisches Handwörterbuch. Mit dem Wortschatz der Nachbarsprachen. 2., erweiterte und verbesserte Auflage. 2008.

Tischler, J., Hethitisches Etymologisches Glosar. Innsbruck. A-K. 1983; L-M. 1990; N.1991; T-D/1. 1991; T-D/2. 1993. T-D/3. 1994; P. 2001; S/1. 2004; S/2. 2006.

Torri, G., La similitudine nella magia analogica ittita (StudAs 2), Roma, 97-100, 2003. 135 f.;

von Schuler, E., Die Mythologie der Hethiter und Hurriter, Wörterbuch der Mythologie I. 1965. p. 161.

Wilhelm, G., Reinheit und Heiligkeit: Zur Vorstellungswelt altanatolischer Ritualistik, Berlin. Bodenheim. 1999. 206-212;